პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდ. ეცემის 29-ე წელი

ХРОНИКА, 25 ИЮЛЬ, 1948 г. № 147 (8191). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

უფრო ფართო გაქანება საბიტაციო-მასობრივ მუშაობას სოფლად — მოწერილია (1-ლი გვერდი).

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მისალმებანი მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის მისი არსებობის 25-ე წლისთავის გამო (1-ლი გვერდი).

წლიური გეგმა — 7 ნოემბრისათვის (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).

ბ. თათარიშვილი, ვლ. გელაშვილი — კულტურული ცხოვრება სტალინირში (მე-2 გვერდი).

ნ. ჯანჯღავა — აღმოსავლეთ ნაკლოვანებებე ჩაის ფოთლის კრეფაში (მე-3 გვერდი).

საქართველოს საქალაქო და რაიონული თათბირების დათვალიერების მოწინავეთა კონფერენცია (მე-3 გვერდი).

კ. ფოფანი — საეტანთაშოკინო მიმოხილვა (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

უფრო ფართო გაქანება საბიტაციო-მასობრივ მუშაობას სოფლად

საკოლმეურნეო სოფელში გაჩაღებული მოსავლის აღება, ხორცმეფულის ლეწვა და სახელმწიფოსათვის პური ჩაბარება. სოფლის მშრომელები მთელი წლის თავდადებული შრომის ნაყოფს იმკიან. მოსავლის წარმატებით აღება და დაბინავება, სახელმწიფოს წინაშე ვალდებულების პირნათლად მოხდა დამოკიდებულია იმ ადამიანებზე, რომლებიც უშუალოდ კოლმეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში მუშაობენ. ამიტომ ვამაგებია ის დიდი ამოცანები, რომლებიც სასოფლო პარტიულ ორგანიზაციებს იკისრებათ სოფლის მეურნეობისათვის ამ გადამწყვეტ დღეებში. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან მთელი ორგანიზაციულ-პოლიტიკური, საგაბტაციო-მასობრივი მუშაობა ამ უკანასკნელ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანიის წარმატებით გადაწყვეტის სამსახურში ჩაიყენონ.

იქ, სადაც სასოფლო პარტიულ ორგანიზაციებს თავიანთი ამოცანები კარგად აქვთ შეგნებული, მოსავლის აღებადაბინავება და სახელმწიფოსთვის პური ჩაბარება ორგანიზებულად და მაღალი ტემპით მიმდინარეობს, მთელი პოლიტიკური, საგაბტაციო-მასობრივი მუშაობა ამ ამოცანის გადაწყვეტისაკენ არის მიმართული. გორის რაიონის სოფელ ძველის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მემინდვრეობის მერიე ბრიგადა მოწონებეა მოსავლის აღებაში. მან კარგად მოაწყო აგრეთვე ბრძოლა დანაყრებულის წინააღმდეგ. მაგრამ მ. ჯალიმბაშოვ-ს რგოლმა, რომელიც თავთაგენის აკრეფაზე მუშაობდა, დანაკარგები დაუშვა. ეს იმ დღისეე შეტანეეეს აგიტატორებმა. მათ ეს ფაქტი ყველა კოლმეურნეს გააცნეს, ამასთან დამაჯერებლად განუმარტეს, თუ რა ზიანს აყენებს დაუდევრობა საერთო საქმეს. ამის შედეგ დანაკარგები ოშვილთია ამ კოლმეურნეობაში. ამავე რაიონის სოფელ დიდი გარეჯვარის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამ დღეებში მინდვრად საგაბტაციო-მასობრივი მუშაობის გაჩაღებას, ხშირად ამოწმებს აგიტატორთა მუშაობას, პარტიული კრების მსაჯულობის საკვანძო ხდის მას, იღუს ზომებს მეშრეეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. კოლმეურნეობაში 7 აგიტატორი მუშაობს და შეიდეეე პასუხისმგებლობით ეკიდება თავის მოვალეობას. ისინი სისტემატურად საკოლმეურნეო მინდვრებში არიან, ესაუბრებიან კოლმეურნეებს აქტიურად საკოთხებზე, რაზმავენ მათ მოსავლის უდანაკარგოდ აღებასა და დაბინავებისათვის. სახელმწიფოს წინაშე ვალდებულების პირნათლად მოხდისათვის. ასეთსავე მზრუნველობას იჩენს ამავე რაიონის სოფელ ქვემის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია საგაბტაცია-მასობრივი მუშაობის ჯეროვან სიმაღლეზე დასაყენებლად. მოსავლის აღების პერიოდში ამ ორგანიზაციამ სამჯერ განიხილა საგაბტაცია მუშაობის საკითხი. დაიწყო თუ არა მოსავლის აღებისათვის მზადება, პარტორგანიზაციამ გადასინჯა აგიტატორთა კადრი და მოაზადებული ეი გამოცდილი ამხანაგები შეაყენა. აქაური აგიტატორები თავიანთი დამაჯერებელი საუბრებით ეხმარებიან კოლმეურნეებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში.

მაგრამ ეს ისა ითქვას, რომ ბევრი პარტიული ორგანიზაცია სათანადოდ არ აფასებს მოსავლის აღების საქმეში საგაბტაციო-მასობრივი მუშაობის მნიშვნელობას, მის დამრაზმავ, მაორგანიზებელ ძალას. რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში მოსავლის აღება, გალეწვა და სახელმწიფოსათვის პური ჩაბარება მტლად ნელი ტემპით მიმდინარეობს. განსაკუთრებით ნელი ტემპებია მოსავლის აღებაში საგარეჯოს, მცხეთის, მარნეულისა და გურჯაანის რაიონებში. კერძოდ, საგარეჯოს რაიონში 20 იგლისის ცნობებით 11.379 ჰექტარიდან მოსავალი აღებული იყო მხოლოდ 5.604 ჰექტარზე, რაც გეგმის 49,2 პროცენტს შეადგენს. ბუნებრივია, აღნიშნული რაიონების პარტიული ორგანიზაციებს უფრო ფართოდ რომ გაეჩაღებინათ პოლიტიკური, საგაბტაციო-მასობრივი მუშაობა, უფრო მეტად ეზრუნათ მოსავლის აღებისათვის სოფლის მშრომელთა დასაზრახავად, მუშაობაზე ნაკლები დეფექტები ექნებოდათ. მასობრივ-საგაბტაციო მუშაობას საჭიროა ყურადღება არ ექცეეეს კასპის რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობაში. კერძოდ, სუსტია საგაბტაციო-მასობრივი მუშაობა სოფელ კოდისწყაროს კოლმეურნეობა „მაგალითსა" და სოფელ ალიანის კოლმეურნეობა „შრომაში".

სოფლის პარტიულ ორგანიზაციებს ამჟამად არა აქვთ უფრო სპეციალი და მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე მოსავლიდან ეუდანაკარგოდ და შემეიდროებულ ვადებში აღება, მისი დაბინავება და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება. ამ ამოცანის უნდა დაეექვემდებაროს ამჟამად მთელი ორგანიზაციულ-პოლიტიკური, საგაბტაციო-მასობრივი მუშაობა სოფლად. პარტიული ორგანიზაციებს ხელმძღვანელები ბოვალენი არიან დაეყოვნებელ ალმოფხვრან ნაკლოვანებანი მუშაობაში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმოს აგიტატორთა კადრების შერჩევას და მათდამი ხელმძღვანელობის გაძლიერებას. პირველად პარტიული ორგანიზაციის მდივანი ვალდებულია სისტემატურად შეამოწმოს აგიტატორთა მუშაობა კოლმეურნეობაში, დაესწროს საუბრებს, საპირო რჩევა-დარიგება მისცეს მათ, მიაღწიოს იმას, რომ აგიტატორთა საუბრები, მასობრივ-საგაბტაციო მუშაობა სწარმოებდეს მიმდინარე სამეურნეო ამოცანებთან მჭიდრო კავშირში, მთელი ეს მუშაობა უნდა ეხმარებოდეს ყველა სამეურნეო ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას, ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ ალმოფხვრას. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ აგიტატორებმა თავიანთი საუბრებით, საერთო სახელმწიფოებრივი ამოცანების კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით შესძლონ კოლმეურნეთა მასების დარაზმვა ამჟამად სოფლის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის, დაეხმარონ კოლმეურნეებს საკოლმეურნეო დისციპლინის განმტკიცებაში.

პარტიული ორგანიზაციების საგაბტაციო-მასობრივი მუშაობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა სოფლად ამჟამად გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების გაღრმავება. აგიტატორები მოწოდებული არიან კოლმეურნეებს გაიცნონ და ფართოდ დანერგონ მოწინავეთა გამოცდილება, ყვალფერი გაკეთონ იმისათვის, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობდეს და ნაკისრ ვალდებულებას განუხრელად ასრულებდეს ყველა კოლმეურნე, მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ყველა მუშაკი.

მოსავლის აღების ტემპების დაჩქარების, მისი დაბინავებისა და სახელმწიფოს წინაშე ვალდებულების პირნათლად მოხდის ინტერესებისათვის უნდა გამოიყენონ მასობრივი-პოლიტიური მუშაობის ყველა ფორმა და საშუალება: კიდევ ერთხელ და საველე ფურცელი, რადიოგადაცემები, საუბრები, მოხსენებები.

სამწოა პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა კიდევ უფრო გააძლიერონ ხელმძღვანელობა პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი, კონკრეტული რჩევა-დარიგებით დაეხმარონ მათ მასობრივ-საგაბტაციო მუშაობის მოწოდების სიმაღლეზე დაყენებაში. პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა ხშირად უნდა განიხილონ სოფლად საგაბტაციო-მასობრივი მუშაობის საკითხები, დასახულ ღონისძიებათა განხორციელებით უზრუნველყონ ამ დარგში არსებული ნაკლოვანებათა აღმოფხვრა და მთელი ამ მუშაობის წარმართვა მოსავლის აღების, ლეწვისა და სახელმწიფოსთვის პურის ჩაბარების ტემპების გასაძლიერებლად.

პარტიის რაიკომებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების ღირსების საქმეა სოფლად მთელი საგაბტაციო-მასობრივი მუშაობა აიყვანონ ახალ, მაღალ საფეხურზე, მიაღწიონ სოფლის წინაშე ამჟამად მდგომი უდიდესი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას.

ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲧᲐᲠᲐᲑᲐᲦᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲖᲘᲐᲗᲘᲡ Კ. ᲞᲘᲜᲘᲩᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ Კ. ᲞᲘᲜᲘᲩᲘᲡ (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ

ᲡᲡᲠ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მიესალმებიან მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის მეშვიდე, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას მისი 25 წლისთავის დღეს.

საბჭოთა ხელისუფლებამ მთიანი ყარაბაღის ხალხები გაათავისუფლა თვითმპყრობელობის, ფეოდალი მთავრებისა და ბურჟუაზიული ნაციონალისტების უღლისაგან და ფართო გზა გაუხსნა ყარაბაღის ეკონომიურ და კულტურულ აყვავებას.

მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის მშრომელებმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით ნნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში.

დიდი სამამულო ომის წლებში მთიანი ყარაბაღის მშრომელებმა ზურგში თავდადებული შრომით და ფრონტზე ბრძოლით თავიანთი წვლილი შეიტანეს მტრის განადგურების საერთო საქმეში და ახლა, მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში, მთელ ძალღონეს ახმარებენ ოლქის მეურნეობისა და კულტურის შემდგომ განვითარებას, ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის შესრულებას.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია კლავიდ განუწყვეტლივ იბრძოლენენ ოლქის მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარებისთვის, ჩვენი დიდი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲧᲐᲠᲐᲑᲐᲦᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲖᲘᲐᲗᲘᲡ Კ. ᲞᲘᲜᲘᲩᲘᲡ (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲛᲝᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲡ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მხურვალედ ულოცავ: მთიანი ყარაბაღის მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის შექმნის 25-ე წლისთავს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მთიანი ყარაბაღის ხალხები გაათავისუფლა კაპიტალისტური ჩაგვრისაგან, განაბორიგეცელა მათი ეროვნული განთავისუფლება. მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის მშრომელებმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში.

დიდი სამამულო ომის წლებში მთიანი ყარაბაღის მშრომელებმა ზურგში თავდადებული შრომით და ფრონტზე ბრძოლით თავიანთი წვლილი შეიტანეს მტრის განადგურების საერთო საქმეში და ახლა, მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში, მთელ ძალღონეს ახმარენენ ოლქის მეურნეობისა და კულტურის შემდგომ განვითარებას, ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის შესრულებას.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია კლავიდ განუწყვეტლივ იბრძოლენენ ოლქის მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარებისთვის, ჩვენი დიდი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲮᲐᲠᲒᲐᲖᲠᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔ�გᲐᲪᲘᲐ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ ᲒᲐᲛᲔᲒᲖᲐᲕᲠᲐ

23 ივლისს, საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაცია მოსკოვიდან ლონდონს გაემგზავრა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის აღმასკომის მორიგ სესიაზე. დელეგაციაში შედიან: ა. ა. კლიმოვი (ნელმძღვანელი), ვ. ი. კირჩანოვი, ვ. ს. ბოგატირიოვი, პ. ა. ჩიუკოვი.

(აკადემია).

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲗᲐᲜ ᲙᲘᲦᲔᲒᲯᲐᲚᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔ�გᲐᲪᲘᲐ ᲐᲦᲒᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲔᲒᲖᲐᲕᲠᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲧᲐᲖᲐᲮᲣᲠᲘ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲖᲔ

ივლისის დამლეგს ალბანეთში შესულ ᲡᲡᲠ კავშირის ალბანეთის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პირველი კონგრესი

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოებამ, საზოგადოების მიწვეულის თანახმად, ალბანეთს კონგრესის მუშობაში მონაწილეობისთვის გაგზავნა უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების დელეგაცია და ᲒᲡᲐᲮᲘᲝᲑᲗᲐ ᲯᲐᲒᲣᲐ. დელეგაციის მეთაურად უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების სამდივნო სექციის პრეზიდიუმის წევრი ᲡᲡᲠ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ა. ნ. შაბანოვი.

დელეგაციაში შედიან: პოეტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ა. ტ. ტვარდოვსკი, სტალინური პრემიის ლაურეატი რსფსრ სახალხო არტისტი ოლგა ლეჟენსკაია და სხვ.

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ—7 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა. მოწინავე ხარატი Შ. ᲙᲣᲗᲝᲕᲘ.

ფოტო რ. ᲙᲣᲗᲝᲕᲘᲡᲘᲡ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲐᲮᲩᲘ ᲓᲐ ᲣᲜᲔᲑᲘ

შეჯამებულია საქართველოს ქვანახშირის შახტებსა და უნნებში სოციალისტური შეჯიბრების იენისის შედეგები. შახტებს შორის კვლავ გამარჯვებული გამოვიდა ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტი (უფროსი რ. როსსაძე, მთავარი ინეენერი ნ. კვინიხიძე, პარტბიუროს მდივანი კ. კარპოვი), რომელმაც ქვანახშირის ამოღების ივნისის გეგმა 105,3 პროცენტით შეასრულა, ხოლო მოსამზადებელი სამუშაოებისა—188,5 პროცენტით. გადაჭარბებულია აგრეთვე მუშათა შრომის ნაყოფიერების გადიდების და ქვანახშირის ნაცრანობის შემცირების დავალებანი. შახტში გაიზარდა ნორმის შემსრულებელთა რიცხვი. ამჟამად იქ ქვანახშირის 25 ოსტატია, 235 სტახანოველი და 401 დამკვრელი.

ასეთი მაღალი საწარმოო მაჩვენებლების გამო საქართველოს ქვანახშირის კომბინატისა და ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის დადგენილებით სტალინის სახელობის შახტს მეორედ მიენიჭა საქართველოს საუკეთესო შახტის წოდება და დარჩა გარდამავალი წითელი დროშა.

უნნებს შორის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის მე-6 უნნამ (უფროსი ნ. გუგუშვილი), რომელმაც ქვანახშირის ამოღების გეგმა შეასრულა 119 პროცენტით, მოსამზადებელი სამუშაოებისა—152,6, ხოლო შრომის ნაყოფიერების გადიდებისა —119,1 პროცენტით.

ამხ. ნ. გუგუშვილის უნნამ დაიკავა პირველი ადგილი და მიეენჭა პირველი პრემია 20 ათასი მანეთის რაოდენობით, მეორე ადგილი და მეორე პრემია—15 ათასი მანეთი მოიბოვა ტყიბულელქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის მე-2 უნნამ (უფროსი ა. ცირკაძე); მესამე ადგილი და მესამე პრემია — 10 ათასი მანეთი — ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის მე-2 მოსამზადებელი უნნის კოლექტივმა, რომელსაც წლების განმავლობაში უნარიანად ხელმძღვანელობს ინეენერი ა. ᲮᲘᲠᲐᲫᲐᲫᲔ. ეიერშიგ განსაკუთრებით აღინიშნა ამხ. ᲮᲘᲠᲐᲫᲐᲫᲔᲡ უნნის წარმატება. ამხანაგები ნ. გუგუშვილი, ა. ცირკაძე და ა. ᲮᲘᲠᲐᲫᲐᲫᲔ შეტანილი არიან შახტების საპატიო დაფებზე.

თბილისის სარეკონსტრუქციო კომბინატი. დასამზადებელი საამქროს მოწინავე ხარატი ᲒᲘᲠᲩᲘ ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ფოტო ვლ. ᲒᲘᲜᲩᲨᲕᲠᲯᲘᲡᲘᲡ

ᲛᲐᲠᲒᲐᲜᲔᲣᲚᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲦᲐᲛᲔᲣᲯᲔᲑᲘᲗ

ᲭᲘᲗᲝᲗᲠᲐᲨᲘ მაღალნაყოფიერი მუშაობით კვლავ გამოირჩეოან ლენინიდა და ორჯერნეკიძის სახელობის მაღაროები. ისინი იბრძვიან წლიური გეგმის 7 ნოემბრისთვის შესასრულებლად. ამ მაღაროთა კოლექტივებმა სოფ. ტომბრო შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებით 18 ივლისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს მარგანეცის გამოღების, სასაქონლო პროდუქციის დამზადებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის შეიდი თვის გეგმები.

განსაკუთრებული წარმატებით მუშაობენ მ. ᲒᲝᲠᲩᲐᲫᲔ, ი. ფხალაძის, Თ. ᲩᲘᲩᲘᲜᲫᲘᲡᲘ, მ. ᲙᲘᲜᲩᲨᲕᲘᲚᲘᲡ, გ. ᲭᲘᲠᲔᲚᲐᲫᲔᲡ და Გ. ᲒᲐᲛᲠᲘᲜᲓᲨᲕᲘᲚᲘᲡ უნნები. ᲪᲮᲝᲠᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ Გ. ᲪᲘᲪᲘᲥᲘᲠᲫᲘᲡ, Გ. ᲑᲣᲯᲐᲫᲘᲡ, Გ. ᲗᲝᲠᲒᲕᲐᲫᲘᲡ, Პ. ᲛᲐᲠᲘᲜᲗᲐᲫᲘᲡ, Ა. ᲒᲐᲛᲠᲘᲜᲓᲨᲕᲘᲚᲘᲡ და სხვები ცალკეა ორ-სამ ნორმას ასრულებენ.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა კოლექტივები მარგანეცს აგვისტოს ანგარიშში იძლევიან.

Ჯ. ᲨᲘᲝᲛᲩᲐᲫᲔ

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ᲙᲐᲡᲐᲚᲘ ᲛᲔᲪᲘᲪᲘᲜᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

კასპის ცემენტის ქარხნის მუშათა კოლექტივმა (დირექტორი Ჯ. ᲡᲐᲒᲝᲩᲘᲐ, პარტბიუროს მდივანი Ჯ. ᲒᲣᲯᲐᲕᲘᲜᲘ) 7 თვის საწარმოო გეგმა 21 ივლისი სათვის 112,1 პროცენტით შეასრულა.

დაწინაურდნენ მზა პროდუქციის გაგზავნების საამქროები: კირქვის მიწოდებელი (საამქროს უფროსი ბ. ᲛᲐᲩᲐᲫᲔ), ᲒᲐᲛᲬᲘᲠᲘ (უფროსი ვ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲫᲔ) და დაფქვის საამქროები (უფროსი ბ. ᲕᲐᲡᲘᲚᲘᲫᲔ).

ცემენტის ქარხნის სახელობოვეკილმა ᲪᲢᲐᲮᲝᲜᲝᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ Გ. ᲛᲔᲜᲐᲯᲘᲜᲘᲫᲔ, Გ. ᲜᲘᲐᲪᲘᲜᲝᲕᲔᲚᲘᲫᲔ და Ა. ᲞᲐᲜᲩᲘᲜᲣᲚᲘ. ᲓᲘᲓᲘᲜᲘ ᲮᲐᲜᲐ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲗ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲐᲛᲐᲓ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲕᲔᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲮᲕᲔᲓᲠᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲮᲕᲔᲓᲠᲘᲗ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ 124,6 პროცენტით შეასრულეს.

ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲜᲐᲮᲕᲐᲠᲘᲜ კარგად იმუშავა ამ ქარხნის საავეჯო საამქრომაც, რომელმაც წლის 30 ათასი მანეთის პროდუქცია უნდა გამოუშვას. ᲔᲛᲔᲚᲘ თვეში გამოშვებულია 17.568 მანეთის პროდუქცია, რაც ნახევარი ᲬᲚᲘᲡ დავალების 117 პროცენტს უდრის.

ეს წარმატებანი მიღწეულია სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლილ, შრომის პროცესების გაუმჯობესებით. ქარხანაში ინეენერ მ. ᲛᲐᲠᲯᲝᲜᲘᲫᲔᲡ წინადადებით მოაზდინეს დანადგარების გადაჯავუფება, მოაწყეს მასალის ხარჯვის ზუსტი აღრიცხვა, აღმოფხვრეს ეელექტროდანადგარების მოცდენა და მარტო მასისა და იენერში 2.424 კილოვატსაათი ეელექტროენერგია დაზოგეს.

ᲛᲪᲘᲠᲔᲥᲐᲚᲘᲜᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ

კასპის რაიონის სოფელ თვალადში დაიწყო მცირეძალიანი ეელექტროსადგურის მშენებლობა. ეელექტროსადგური სინათლეს მიაწვდის სოფელ თვალადს და კავთისხევის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებს. ეელსადგურის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობას იღებენ თვალადელი კოლმეურნეები.

სოფელ ნიაბში, ეზატსა და შუა უბანში დაიწყო ეელექტრობაზის გაყვანა.

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ

გორის ხე-ტყის სახერხი ქარხნის კოლექტივმა წელს 4.410 კუბმეტრი ხე-ტყე დახერხეს და ნახევარი წლის დავალება 124,6 პროცენტით შეასრულეს.

ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲜᲐᲮᲕᲐᲠᲘᲜ კარგად იმუშავა ამ ქარხნის საავეჯო საამქრომაც, რომელმაც წელს 30 ათასი მანეთის პროდუქცია უნდა გამოუშვას. ᲔᲛᲔᲚᲘ თვეში გამოშვებულია 17.568 მანეთის პროდუქცია, რაც ნახევარი ᲬᲚᲘᲡ დავალების 117 პროცენტს უდრის.

ეს წარმატებანი მიღწეულია სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლილი, შრომის პროცესების გაუმჯობესებით. ქარხანაში ინეენერ მ. ᲛᲐᲠᲯᲝᲜᲘᲫᲔᲡ წინადადებით მოაზდინეს დანადგარების გადაჯავუფება, მოაწყეს მასალის ხარჯვის ზუსტი აღრიცხვა, აღმოფხვრეს ეელექტროდანადგარების მოცდენა და მარტო მასისა და იენერში 2.424 კილოვატსაათი ეელექტროენერგია დაზოგეს.

პარტიული ცხოვრება

მივაღწიოთ უნაკლო მუშაობას წრეში

კომუნისტები აცხადებდნენ, რომ ისინი დამოუკიდებლად სწავლობენ პარტიის ისტორიას. პარტბიუროს აღრიცხული ჰყავდა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავენი, მაგრამ ყველა მათგანი როდი მუშაობდა თანმიმდევრულად. თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის პარტბიურომ წელს საგრძნობლად გააუმჯობესა კონტროლი კომუნისტების პოლიტიკური განათლებისადმი. გამოირკვა, რომ ყველა ამხანაგს არ შესწევს უნარი დამოუკიდებლად შეისწავლოს პარტიის ისტორია და თეორია. ეს ამხანაგები დარწმუნდნენ, რომ საჭიროა თავის თავზე სერიოზული მუშაობა, ხოლო ამისათვის მათ მცოდნე ამხანაგის დახმარება ესაჭიროებათ. მათი სურვილის, საფუძველზე გადასწყვიტეს შეექმნათ ქარხანაში რამდენიმე წრე.

პარტიის ისტორიის შემსწავლელმა წრემ, რომელსაც ინჟინერი ი. სიყმაშვილი ხელმძღვანელობს, მეცადინეობა დაიწყო მიმდინარე წლის 1 მარტს. ამ ხნის განმავლობაში ერთი მეცადინეობაც არ გაუცდენიათ. კვირაში ერთხელ, დანიშნულ დროზე, იკრიბებიან მსმენელები და გულმოდგინედ სწავლობენ ბოლშევიკური პარტიის გმირულ ისტორიას „მოკლე კურსის" მიხედვით. ეს წრე კადრების საშუალო რგოლისათვისაა გათვალისწინებული.

როგორია წრის მუშაობის ხარისხი?

მეცადინეობის იდეური დონე ბევრად არის დამოკიდებული პროპაგანდისტის მომზადებასა და მისი მუშაობის მეთოდზე. ამხ. სიყმაშვილმა ეს მოვალეობა ძირითადად სწორად გაიგო. მეცადინეობა ცოცხალი საუბრის მეთოდით მიმდინარეობს. პროპაგანდისტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მსმენელთა დამოუკიდებელ მუშაობას წიგნზე, მათ მიერ კონსპექტების შედგენას, ეხმარება იმაში, რომ ისწავლონ აზრის მოკლედ გადმოცემა, ჩაწერა, მნიშვნელოვანი საკითხის გარჩევა შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვანისაგან. პროპაგანდისტი დიფერენცირებულად უდგება მსმენელებს, ინდივიდუალურ დახმარებას უწევს მრავალ მათგანს, აძლევს კონსულტაციას როგორც საკითხის თეორიული მხარის გაგებაში, ისე წიგნზე მუშაობის მეთოდის საკითხში. ამის შედეგად გაუმჯობესდა მსმენელთა აქტივობა.

პროპაგანდისტმა იმით მიაღწია გარკვეულ წარმატებებს, რომ უპირველეს ყოვლისა შეისწავლა ყოველი მსმენელი, გაიგო თვითეულის უნარი და თავისი დახმარებაც ამ მხრივ წარმართა.

პროპაგანდისტი დიდ ყურადღებას უთმობს მსმენელთა მიერ მასალის შეთვისებას. ყოველ მეცადინეობაზე საუბრობს გავლილი მასალის შესახებ, ყველა მსმენელს აბამს მასალის გამეორებაში.

იწყება საუბარი ახალ თემაზე. პროპაგანდისტი მას გავლილ მასალას უკავშირებს, ძაფს აბამს უკვე ცნობილ საკითხებთან, შეჰყავს მსმენელი ახალი მასალის გაგების სიღრმეში.

რა ძირითადი ნაკლოვანებანი ახასიათებენ წრის მუშაობას? ზოგიერთი მსმენელი ვერ სძლევს გავლილ თემებს. ზახაროვი, კუზილოვი, ეფიმოვა და სხვები დამოუკიდებლად ვერ ადგენენ კონსპექტს, უჭირთ ცალკეულ საკითხებზე შინაარსის გადმოცემა, მსჯელობა. სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზი? პროპაგანდისტი ინდივიდუალურად ეხმარება მათ კონსპექტის შედგენაში, დამატებით უწყობს კონსულტაციებს. აღნიშნულ ამხანაგებს თვითონაც სურთ მეტი იცოდნენ, მაგრამ არ ჰყოფნით მომზადება, სათანადო ბაზა არა აქვთ ამ წრეში პარტიის ისტორიის შესწავლისათვის. ზოგ მათგანს არასრული საშუალო განათლება აქვს, ზოგსაც დაბალი. ცხადია, წრის დაკომპლექტებისას იყო გადახვევები, რაც გამოიხატა ცოდნის სხვადასხვა დონის ამხანაგების ერთ წრეში გაერთიანებით. დაბალი განათლების მქონენი საშუალო ცოდნის ამხანაგებთან გააერთიანეს. ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელები ამას იმით ხსნიან, რომ 5 ამხანაგისათვის ძნელი იყო შეექმნათ პირველი საფეხურის წრე ძირეული რგოლისათვის. ფაქტია, რომ მსმენელთა ეს სიჭრელე აფერხებს მეცადინეობის ნორმალურ მსვლელობას. არის მეცადინეობის არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევებიც. 26 აპრილს 4 მსმენელმა გააცდინა მეცადინეობა არასაპატიო მიზეზით.

აღსანიშნავია, რომ პოლიტწრის მუშაობისადმი დიდ ინტერესს იჩენს პარტბიურო. პროპაგანდისტი გაცდენა-დაგვიანების ცნობებს ყოველი მეცადინეობის შემდეგ აწვდის ბიუროს. პარტბიუროს მდივანი ამხ. კ. გოგლიძე და მისი მოადგილე ამხ. ს. ქსოვრელი დროდადრო ესწრებიან მეცადინეობას. ბიურომ ორჯერ განიხილა წრის მუშაობის საკითხი. 13 აპრილის სხდომაზე პარტბიურომ აღნიშნა, რომ მეცადინეობისას გამოყენებული არ არის რუკები, დიაგრამები, პარტიის ისტორიის შემსწავლელთა დასახმარებლად გამოცემული ალბომები. არ ეწყობა ექსკურსიები. პროპაგანდისტს დაევალა მეტი დახმარება გაეწია ჩამორჩენილ მსმენელთათვის ინდივიდუალური კონსულტაციების გაძლიერებით. წრემ გაითვალისწინა ეს მითითებანი.

25 ივნისს პარტბიურომ განიხილა საკითხი 13 აპრილს მიღებული თავისი დადგენილების შესრულების შესახებ. სამმა კომუნისტმა ამხ. ქსოვრელის ხელმძღვანელობით წინასწარ შეამოწმა წრის მუშაობა. აღინიშნა, რომ წრეში მეცადინეობის დროს იყენებენ თვალსაჩინო მასალებს, უფრო ცოცხალია საუბარი, გაუმჯობესდა მსმენელთა აქტივობა და პროპაგანდისტის დახმარება ჩამორჩენილი მსმენელებისადმი. მოეწყო თემატური ექსკურსია ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში. ბიურომ წრის მსმენელები კუზილოვი და სტრონინი გააფრთხილა მომავალში არ დაუშვან მეცადინეობის უმიზეზოდ გაცდენა.

პროპაგანდისტსა და წრის მსმენელებს კიდევ მეტი მუშაობა მართებთ. რომ მათი მეცადინეობა უნაკლო იყოს.

ი. ხუნდაძე

გავაჩაღოთ ბოლშევიკური აგიტაცია

გორის რაიონში მოსავლის აღებაზე მომუშავე კოლმეურნეთა შორის სააგიტაციო მუშაობას ეწევა 544 აგიტატორი და მესაუბრე-წამკითხველი. სოფელ ადგილებში შექმნილია 39 აგიტკოლექტივი, რომლებიც წარმართავენ აგიტატორთა საქმიანობას. აგიტატორებისა და აგიტკოლექტივების მუშაობის გაუმჯობესებისათვის შეუნელებლად ზრუნავენ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები.

ქვეშის სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებში აგიტაციას ეწევა 19 აგიტატორი. მოსავლის აღების პერიოდში აგიტატორებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება გააძლიერა ამ სოფლის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციამ. ორგანიზაციის მდივანი ამხ. ა. ცოხნიაშვილი მუდამ ესწრება აგიტატორთა საუბრებს, რჩევა-დარიგებას აძლევს მათ, შემჩნეულ ნაკლოვანებებს პარტიული კრების მსჯელობის საგნად ხდის. ამ ღონისძიებამ ქვეშში აგიტაციას უფრო კონკრეტული შინაარსი მისცა.

მოსავლის აღებაზე მომუშავეთა შორის მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას კარგად ხელმძღვანელობს სოფელ ქერეს საკოლმეურნეო პარტორგანიზაცია. ამ დღეებში პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. ს. ელიკაშვილმა შეამოწმა ხუთი აგიტატორის მუშაობა. პარტიულმა კრებამ იმსჯელა აგიტატორთა საქმიანობაზე. ცუდად მომუშავე აგიტატორი ი. ჩილინგარაშვილი შეცვლილ იქნა უფრო ენერგიული ამხანაგით — რ. ელიკაშვილით, რომელიც სისტემატურად ატარებს საუბრებს.

სოფელ პატარა გარეჯვრის კოლმეურნეობის მებაღეობის ბრიგადა ამჟამად მოსავლის აღებაზე მუშაობს. ამ ბრიგადის აგიტატორი, მასწავლებელი ვ. ჩალაური მუდამ კოლმეურნეთა შორის ტრიალებს, ატარებს საუბრებს, უშვებს საველე ფურცლებს, სადაც მოკლედ გადმოცემულია მოსავლის აღების მოწინავეთა გამოცდილება, გაკიცხული არიან ზარმაცები. ეს ეხმარება ბრიგადას წარმატების მოპოვებაში.

საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომი სერიოზულ ღონისძიებებს ატარებს მოსახლეობაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის კიდევ უფრო გაშლისათვის. ამას წინათ მოეწყო აგიტატორთა ზონალური თათბირები, სადაც განხილულ იქნა საკითხი მოსავლის აღების პერიოდში აგიტატორთა ამოცანების შესახებ; რაიონიდან დაშორებულ 12 კოლმეურნეობაში ორი აგიტსამხატვრო ბრიგადა მუშაობდა. ამ ბრიგადის წევრებმა მოკლე დროში 24 მოხსენება და საუბარი მოუწყვეს კოლმეურნეებს.

ივლისის განმავლობაში პარტიის გორის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ შეამოწმა რაიონის კოლმეურნეობებში საგიტაციო-მასობრივი მუშაობის მდგომარეობა. გამოირკვა, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობაში საგიტაციო მუშაობა მთლიანად ჩაშლილია. ეს პირველ რიგში შეეხება სოფელ არბოს, დიცის, მეღვრეკისის, ტირძნისისა და ჯარიაშენის კოლმეურნეობებს. სოფელ არბოს კოლმეურნეობაში დიდი ხანია პოლიტიკური მოხსენება არ ჩატარებულა, აგიტატორები კოლმეურნეებთან არ მიდიან მინდვრად. სოფელ ქვემო ტყვიავის კოლმეურნეობა „წითელი სხივის" მეორე ბრიგადაში აგიტატორ ნიკოლოზ რაზმაძეს თითქმის ორი თვეა საუბარი არ ჩაუტარებია. მსგავსი მდგომარეობაა სოფელ ქიწნისის კოლმეურნეობაში, აქაური აგიტატორები ნინო თვაური, ილია თომაშვილი, ვასო ქობლიანიძე ზერელედ ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას.

გორის რაიონის კოლმეურნეობებში ყველა პირობაა საგიტაციო-მასობრივი მუშაობის უფრო ფართოდ გაშლისათვის. გამოცდილ აგიტატორთა რაზმთან ერთად რაიონში არის ათი სასოფლო კლუბი, ხუთი სასოფლო ბიბლიოთეკა, 21 ქოხ-სამკითხველო. პირველადი პარტორგანიზაციების ვალია მაქსიმალურად გამოიყენონ ეს შესაძლებლობანი და ყველა კოლმეურნეობაში ფართოდ გააჩაღონ ბოლშევიკური აგიტაცია.

ს. ყურაშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

კულტურული ცხოვრება სტალინირში

მძიმე იყო ძველი ცხინვალის ბედი. ხალხი ცხოვრობდა დუხჭირ პირობებში. მაშინ, შავბნელ წარსულში, ფიქრადაც არავის მოუვიდოდა ეზრუნა დაბის მცხოვრებთა კულტურული ცხოვრებისათვის. სახურავჩალეწილი ქოხმახები წარმოადგენდა ცხინვალის დამახასიათებელ ნიშანს.

წლები წლებს მისდევდა. ცხინვალი უცვლელი რჩებოდა. ისევ დანგრეული ქოხმახები, ისევ ვიწრო და ჩაბნელებული ქუჩები. სკოლებზე, თეატრსა და კინოზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტი იყო.

ცხინვალის ნამდვილ ცხოვრებას მხოლოდ მას შემდეგ მიეცა გასაქანი, როცა თავისუფლების მზე ამობრწყინდა მთებშუა ლიახვის პირას გაშენებულ პატარა ქალაქში. ამ დღიდან იწყება ცხინვალის ნამდვილი ისტორია. ხალხმა მას დიდი ბელადის სახელი მიაკუთვნა.

ახლა, ახლებური ცხოვრებით ცხოვრობს სტალინირი. საშუალო და სპეციალური სასწავლებლების, უმაღლესი სასწავლებლის, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელით არის დაფარული ქალაქი. დღეს სტალინირელ ახალგაზრდას მშობლიურ ქალაქშივე შეუძლია მიიღოს დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლება. მას შექმნილი აქვს ყველა პირობა იმისათვის, რომ გახდეს ჩვენი დიადი სამშობლოს განათლებული მოქალაქე.

* * *

თბილისის ქუჩაზე არის ორსართულიანი შენობა. აქ მოთავსებულია მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მუზეუმში ხშირად ნახავთ ქალაქის მცხოვრებლებს. ისინი სიამოვნებით ათვალიერებენ ექსპონატებს. აქ წარმოდგენილია ძვირფასი მასალები, რომლებიც ხატოვნად ჰყვებიან ოსი ხალხის საინტერესო ისტორიულ წარსულს.

მუზეუმში წარმოდგენილია სამხრეთ ოსეთის მარმარილოს, ტუფთაოთუთის, თალკის, ქვანახშირის ნიმუშები. მინერალების ეს ექსპონატები მნახველს მოუთხრობენ ოლქის თანამედროვე ცხოვრებისა და კიდევ უფრო უკეთესი მომავლის შესახებ.

ცალკე სტენდი აქვს დათმობილი მასალებს იმის შესახებ, თუ რა წვლილი შეიტანეს სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა გერმანელ დამპყრობლებზე ჩვენი გამარჯვების საქმეში. ცალკე დარბაზში გამოფენილია სამამულო ომის სახელოვან მებრძოლთა სურათები, რომლებიც დიდი მონდომებით დაუხატავთ სტალინირელ მხატვრებს. აქ არის წარმოდგენილი ოსი ხალხის სახელოვანი შვილის ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-პოლკოვნიკ ი. პლიევის, საბჭოთა კავშირის გმირების კოჩიევის, ჩოჩიევის, საბანოვისა და სხვათა პორტრეტები.

ერთი შენიშვნა. ყველა მშრომელი დაკმაყოფილებული როდი გამოდის მუზეუმიდან. ზოგჯერ მუზეუმში არ დაგხვდებათ კონსულტანტი. ცალკეულ ექსპონატებს დამუშავება აკლიათ, ამიტომ ისინი ვერ ახდენენ სათანადო შთაბეჭდილებას. მუზეუმმა შემოქმედებითი მუშაობის უფრო ფართოდ გაშლით ხელი შეუწყოს ქალაქის მცხოვრებთა კულტურული მომსახურების საქმეს.

* * *

ბეტონის ხიდიდან მოჩანს დათოვლილი კავკასიონის მთაგრეხილები. ნისი პირამდე ლიახვი კალაპოტში ვერ ეტევა, ლოდებზე მოთამაშობს, ზხუფს ისვრის, თითქოს გულმოსულია, გზა რომ გადაუღობეს, მიმართულება რომ შეუცვალეს.

ფოლადის დიდი ფარი ორ ნაწილად ჰყოფს ლიახვს—ტირიფნისა და სალთვისის არხად, რომ მდინარემ წყალი მიაწოდოს ნაყოფიერ მინდვრებს, გაახაროს ბაღ-ვენახებმა, დროზე დაპურდეს ყანა, უხვმა მოსავალმა აავსოს კოლმეურნეობათა ბეღლები.

ორივე არხი სტალინირის ცენტრიდან იწყება. თვალწარმტაცი ბაღნარი მოსდევს არხის სათავეს, მთისაკენ მიიმართება და ჩვიდმეტ ჰექტარ ფართობს მოიცავს. ვიწრო გზებითაა დასერილი ეს ბაღნარი, გზების ორსავე მხარეს დეკორატიული ხეები და ყვავილნარები ამშვენებენ.

ბაღის ჩრდილო ნაწილში ოდნავ ირხევიან ხელოვნური ტბის ტალღები, ისინი ლიახვი პირამდე არიან, ვიწრო არხის საშუალებით შემოჭრილან ბუნებრივ ქვაბულში და ორ ჰექტარზე ტბა დაუგუბებიათ.

თვალსაჩინო გავლენას ახდენს ბაღის ჰავაზე ეს პატარა ტბა, ხოლო მის ნაპირებზე წარგული დეკორაციული ხეები და ყვავილნარები საამურ სურნელებას აფრქვევენ.

ბაღის ჩრდილოეთით საზაფხულო ესტრადაა შვიდასი მაყურებლისათვის, ცენტრში საცეკვაო მოედანი, ხოლო ქუჩის პირას კულტურის სახლი.

ბაღში მოწყობილია საქანელა და კარუსელი. მთავარ ხეივანში მარადმწვანე ხეებს შორის ლამაზ კვარცხლბეკზე დგანან რუსთაველის, პუშკინის, გორკის, ნეკრასოვის, მაიაკოვსკისა და ოსი ხალხის დიდი მწერლის კ. ხეთაგუროვის ქანდაკებები.

ლიახვის ნაპირებს გაჰყურებს ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლის ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მონუმენტი.

მიმდინარე წლის 25 ივნისს მოხდა ამ ბაღის საზეიმო გახსნა. მთავარ შესასვლელის თაღს ამშვენებს ლამაზი წარწერა—„ლ. პ. ბერიას სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი".

...ესტრადაზე უკრავს კულტურის სახლთან არსებული ორკესტრი, მოედანზე ცეკვავენ ახალგაზრდები, ტბაზე დაცურავენ ნავები, ბავშვები ერთობიან საქანელებითა და კარუსელებით.

ბეჯითი შრომის შემდეგ კულტურულად ისვენებენ ქალაქ სტალინირის მშრომელები.

* * *

კულტურისა და დასვენების პარკის ეზოში არის საქალაქო ბიბლიოთეკა. ორი თანამშრომელი ემსახურება მას— გამგე ნიკოლოზ ჯაბიევი და ბიბლიოთეკარი ვერა თედიაშვილი.

1.319 წიგნი აქვს ამ ბიბლიოთეკას.

— ცოტააო—ამბობენ მკითხველები. სინამდვილეა. მაგრამ კიდევ უფრო სამწუხარო ის არის, რომ ბიბლიოთეკა ამ წიგნებსაც სათანადოდ ვერ იყენებს.

— ამხანაგო ვერა, გთხოვთ მომცეთ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა პირველი ტომი.

— თქვენზე ფორმულარი შევსებულია?

— არა.

— მაშინ ვერ მოგცემთ.

— გთხოვთ შემივსოთ.

— ფორმულარი არა გვაქვს.

ასეთი დიალოგი ბიბლიოთეკაში იშვიათი როდია. გამგემ და ბიბლიოთეკარმა ერთი წელია ვერ მოახერხეს ფორმულარის მოტანა. ამიტომ აქ მხოლოდ 95 მუდმივი მკითხველი ჰყავთ.

ბიბლიოთეკის მუშაკები ვერც ამ მკითხველებთან მუშაობენ დამაკმაყოფილებლად. მათ არ აინტერესებთ მკითხველთა შენიშვნები. რატომღაც მარტო საჭადრაკო წრე ჩამოუყალიბებიათ და როდესაც ეს წრე მუშაობს, სამკითხველო დარბაზში გაზეთების კითხვაც შეუძლებელია.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საქალაქო ბიბლიოთეკის მუშაობას საჭირო კონტროლსა და დახმარებას ვერ უწევს მშრომელთა დეპუტატების სტალინირის საქალაქო საბჭოს კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილება.

* * *

შენობა, რომელშიც ქალაქის ბიბლიოთეკაა მოთავსებული, ეკუთვნის კულტურის სახლს. დირექტორის კაბინეტში გაკრულია წრეობრივი მუშაობის გეგმა, კულტურის სახლის აქტივის სია, დავალებათა განაწილებისა და შესრულების მაჩვენებლები.

კულტურის სახლთან არსებობს დრამატული, ლიტერატურული, მოჭადრაკეთა, მოცეკვავეთა და მომღერალთა წრეები. წრის წევრები სისტემატურად იკრიბებიან და მეცადინეობენ. დრამატულმა წრემ წელს რამდენიმე სპექტაკლი უჩვენა მაყურებლებს.

დიდი ყურადღება ეთმობა ლექციამოხსენებებს საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის, ფილოსოფიის, ბუნებისმეტყველების, გეოგრაფიისა და სხვა საკითხებზე.

აქ გამართულ სპექტაკლს, ლექციასა და მოხსენებას მუდამ დიდძალი მსმენელი ჰყავს. ეს იმიტომ, რომ ლექციამოხსენებები და სპექტაკლები ყოველთვის მაღალხარისხოვანია. კულტურის სახლს თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავს აქტივი, ქალაქის ინტელიგენცია—მეცნიერ-მუშაკები, პედაგოგები, ექიმები, სტუდენტები, უფროსი კლასის მოსწავლეები.

აქვე უნდა აღინიშნოს: კულტურის სახლის ბინა არ არის შესაფერისი. ეს დიდად უშლის ხელს წრეობრივ მუშაობას. მაგალითად, კულტურის სახლის თვითმოქმედ წრეს სურდა მაყურებლებისათვის ეჩვენებინა თოჯინების თეატრის სპექტაკლი, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან სცენის კედლები დაბალია. ასე ემლებათ ხელი სხვა თვითმოქმედ წრეებსაც. კულტურის სახლისათვის ბინის გაფართოების საკითხს სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

* * *

კ. ხეთაგუროვის ქუჩაზე ორსართულიან სახლს აწერია, „ნ. კ. კრუპსკაიას სახელობის საოლქო ბიბლიოთეკა". იგი სტალინირელ მშრომელთა საყვარელი ადგილია. 1930 წელს ჩაეყარა საფუძველი ამ ბიბლიოთეკას. მაშინ მხოლოდ ათასი წიგნი იყო აქ—ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტისაგან საჩუქრად მიღებული. მას შემდეგ წლებმა გაიარა. ახლა ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნში 18.541 ტომია, აქედან 5.286 წიგნი მხატვრული ლიტერატურიდან, 6.682 საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის წიგნი, 3.758 სამეცნიერო საბუნებისმეტყველო შრომები, დანარჩენი ტექნიკური, სამეურნეო და საბავშვო წიგნებია.

ბიბლიოთეკას ჰყავს 1.130 მუდმივი მკითხველი. მათზე მარტო წელს 23.896-ჯერ არის გაცემული სხვადასხვა წიგნი.

დიდი ყურადღება ეთმობა ლექციების ჩატარებას პოპულარულ-მეცნიერულ საკითხებზე, ეწყობა მკითხველთა კონფერენციები, რომლებზეც იხილავენ ბიბლიოთეკის მუშაობის მტკივნეულ საკითხებს და სახავენ შემდგომი მუშაობის ღონისძიებებს.

მარტო სტალინირის როდი ემსახურება ეს ბიბლიოთეკა, მას მოძრავი წერტილები აქვს ჯავაში და ოლქის სხვა რაიონებში. გარდა ამისა, იგი მეთოდურ დახმარებას უწევს სარაიონო და სასოფლო ბიბლიოთეკებს.

* * *

ქალაქში დიდი პოპულარობით სარგებლობს კინო. კინოთეატრის სალაროსთან ყოველდღე შენიშნავთ რიგებს. მოქალაქენი დიდ ინტერესს იჩენენ უკანასკნელ ხანებში გამოშვებული საბჭოთა კინოფილმებისადმი. აქ ამ დღეებში უჩვენეს კინოსურათები: „გამარჯვებით დაბრუნებულნი" და „წითელი ყელსახვევი". აღსანიშნავია, რომ კინოთეატრის ხელმძღვანელობა კმაყოფილდება იმით, რომ მაყურებელი ყოველთვის საკმაოზე მეტი ჰყავს და აღარ ზრუნავს მათი წესიერი მომსახურებისათვის. მოსაცდელ დარბაზში საკმარისი რაოდენობით არ არის სკამები, და ვიდრე სეანსი დაიწყებოდეს, მაყურებელთა უმრავლესობა იძულებულია ფეხზე იდგეს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არ ხდება დარბაზის ვენტილაცია, კედლები აქა-იქ ჩამონგრეულია. საჭიროა მათი შეკეთება.

* * *

უკანასკნელ ხანებში ერთგვარად გააუმჯობესა მუშაობა სტალინირის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრმა. ამ თეატრის ქართულმა კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა შილერის „ვერაგობა და სიყვარული", ა. წერეთლის „კინტო", ჰაჯიბეკოვის „არშინ მალ-ალან" და სხვა სპექტაკლები. დადგმათა ნაწილი მაყურებელმა გულთბილად მიიღო. ახალი საინტერესო დადგმები უჩვენა აგრეთვე ოსურმა დასმა (ხელმძღვანელი დ. მამიევი).

ჯერ კიდევ დიდი მუშაობის გაწევაა საჭირო იმისათვის, რომ თეატრმა დააკმაყოფილოს მაყურებელთა გაზრდილი მოთხოვნილება.

— ისევ „არშინ მალ-ალან".

— ისევ „ვერაგობა და სიყვარული"...—ხშირად გაიგონებთ მაყურებლებისაგან. სწორედ ერთი და იგივე პიესების რამდენჯერმე დადგმით არის გამოწვეული, რომ ზოგჯერ სპექტაკლზე დამსწრეთა რაოდენობა თითებზე ჩამოსათვლელია.

თეატრის ხელმძღვანელობამ და პირადად მისმა დირექტორმა ამხ. გ. ლოლიძემ მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ დისციპლინის განმტკიცებას დასში, აღკვეთონ მსახიობთა გამოუცხადებლობის გამო სპექტაკლის ჩაშლის შემთხვევები, რაც არც ისე იშვიათია.

საოლქო გაზეთები „საბჭოთა ოსეთი" და „კომუნისტი" ხშირად ბეჭდავენ რეცენზიებს თეატრის დადგმების შესახებ. ობიექტური იყო გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" კრიტიკა დ. კუსოვის პიესის „ურმულის" შესახებ, რომელიც თეატრის ქართულმა დასმა უჩვენა მაყურებელს.

„...პიესის გმირები მკრთალ და არადამაჯერებელ სახეებს ჰქმნიან. მთელი რიგი ეპიზოდები ზერელედ არის წარმოდგენილი და, რაც მთავარია, სუსტადაა ნაჩვენები სამხრეთ ოსეთის მშრომელთა ადამიანის გმირული შრომა სამამულო ომის დღეებში". ასეთია გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" სამართლიანი დასკვნა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მიერ ნაჩვენები პიესა „ურმულის" შესახებ.

* * *

ვიდრე საბჭოთა ხელისუფლება დამყარდებოდა სამხრეთ ოსეთში, ოსურ ენაზე არ იყო არც ერთი ბეჭდვითი ორგანო. ახლა სტალინირში ქართულ გამოცემებთან ერთად ოსურ ენაზე გამოდის საოლქო გაზეთი „კომუნისტი", ლიტერატურული ჟურნალი „ფიდიოგი". სტალინირში არსებობს სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობა. გამომცემლობა მკითხველებს ყოველდღიურად აწვდის სამხრეთ ოსეთში მომუშავე მწერლების წიგნებს.

უკანასკნელ ხანებში სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ ოსურ და ქართულ ენებზე გამოსცა ოსური ხალხური ეპოსი—„ნართები", ოსურ ენაზე გამოსცა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიები, „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი". მწერალმა ელიოზ ბეკოევმა გამოაქვეყნა რომან „ფატიმას" პირველი წიგნი. პოეტმა კავკაზაევმა ოსურად თარგმნა პოეტ-აკადემიკოსის გიორგი ლეონიძის ეპოპეა „ი. ბ. სტალინის ბავშვობა და ყრმობა".

არასახარბიელო მდგომარეობაა საბავშვო ლიტერატურის მხრივ. სამხრეთ ოსეთში მომუშავე მწერლები ძლიერ ცოტას სწერენ ბავშვებისათვის. საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილებამ ამ მიმართულებით სათანადო პრაქტიკული ნაბიჯები უნდა გადადგას.

კიდევ ერთი ნაკლი. არასაკმაო რაოდენობით არის გავრცელებული და ნათარგმნი ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებნი ოსურ ენაზე. ოსი მკითხველი მოელის ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ა. ყაზბეგის, დ. კლდიაშვილის ნაწარმოებთა ოსურ თარგმანებს. მკითხველთა ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება ოსეთში მომუშავე მწერლების პირველი რიგის ამოცანაა.

* * *

სტალინირში არის ადგილობრივ რადიოგადაცემათა ორი რედაქცია. რადიოგადაცემები სწარმოებს ოსურად და ქართულად, დღეში ორჯერ. გადაცემული მასალების ხარისხი, მართალია, დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ზოგჯერ გადაცემის დროს დიქტორის ლაპარაკს ვერ გაარჩევთ. ისმის რაღაც გაურკვეველი ხრიალი. რადიოგადაცემათა ხელმძღვანელებმა და რადიოკვანძმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ ზომები რადიოგადაცემათა ხარისხის ამაღლებისათვის.

* * *

პარტიის სტალინირის საქალაქო კომიტეტის ბიურო, საქალაქო საბჭოს აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომებზე პერიოდულად იხილავენ საკითხებს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის შესახებ. ეს საკითხი ამასწინათ განიხილა პარტიის საოლქო კომიტეტის პლენუმმა. დასახული ღონისძიებების განხორციელებისათვის მოწყობილმა მუშაობამ ახალი სიცოცხლე და ინტერესი შეიტანა საქმეში.

* * *

მტერზე გამარჯვების შემდეგ საბჭოთა არმიიდან ქალაქ სტალინირს დაუბრუნდნენ სახელმოხვეჭილი ვაჟკაცები. ისინი კმაყოფილი არიან იმით, რომ უკანასკნელ ხანებში გამოცვლილია მათი ქალაქი. ორდენებით მკერდდამშვენებული ადამიანები სამშობლოსათვის საკეთილდღეო შრომის შემდეგ თავისუფალ დროს კულტურულად ატარებენ. საღამოობით ხალხი მიემართება ლ. პ. ბერიას სახელობის კულტურისა და დასვენების პარკისაკენ, თეატრისაკენ, კინოსაკენ, ბიბლიოთეკისაკენ... ისინი აქ ბეჯითი შრომის შემდეგ ისვენებენ. ქალაქის ხელმძღვანელობამ უნდა გაითვალისწინოს ის ნაკლოვანებანი, რომლებიც გააჩნია სტალინირში მომუშავე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს და სრულყოფილი გახადონ მათი საქმიანობა.

კიდევ უფრო სისხლსავსედ უნდა სჩქეფდეს იმ ქალაქის კულტურული ცხოვრება, რომელიც ჩვენი ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის—მშობლიური, საყვარელი სტალინის სახელს ატარებს.

გ. თათარიშვილი

ვლ. გელაშვილი

სტალინირი. მარცხნივ — კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრი. მარჯვნივ — ხელოვნური ტბა ლ. პ. ბერიას სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში. [illegible]

აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები ჩაის ფოთლის კრეფაში

წელს ჩხოროწყუელმა მეჩაიეებმა კარგად დაამუშავეს და მოუარეს ჩაის პლანტაციებს. საგრძნობლად გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია კოლმეურნეობებში. რაიონის ყველა კოლმეურნეობაში ჩაის პლანტაციები ბრიგადებსა და რგოლებში მიჩენილი აქვთ კოლმეურნეებს, რომლებიც იბრძვიან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

მიუხედავად წლევანდელი არახელსაყრელი ამინდისა, მოწინავე კოლმეურნეობებმა მუშაობაში მტკიცედ დანერგეს ჩაის ფოთლის განუწყვეტელი კრეფის მეთოდი და მათი მაჩვენებლებიც უკეთესია. ჩხოროწყუს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობას 94 ჰექტარამდე ჩაის პლანტაცია აქვს. პლანტაციები კარგად არის დამუშავებული. თუმცა მაისში ჩაის ფოთლის კრეფა გვიან დაიწყო, მაგრამ გეგმა მაინც შეასრულა. განსაკუთრებით დაწინაურდა მეორე ბრიგადა, რომელსაც ი. სიჭინავა ხელმძღვანელობს. მან მაის-ივნისის გეგმა პირველმა გაანაღდა. ამას მიაღწია იმით, რომ ჩაის ფოთოლს განუწყვეტლივ, ყოველდღიურად ჰკრეფდა. ბევრგან ასე არ მოიქცნენ და კიდევაც ჩამორჩნენ. კოლმეურნეობაში განმტკიცდა შრომის დისციპლინა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გაეცნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და ანაზღაურების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“. თუ მანამდე ჩაის კრეფაზე ყოველდღიურად 30-40 კაცი გამოდიოდა, ახლა 70 კაცზე მეტი გამოდის. სტახანოველი მკრეფავები ოლია დარსალია, დ. შა ქარჩავა და სხვები კრეფის ნორმებს სამმაგად და ოთხმაგადაც ასრულებენ.

ივნისში ჩაის კრეფის გეგმები შეასრულეს სოფელ ნაფიჩხოვოს კიროვის, ხაბუმის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობებმა და ლეწურწუმის კოლმეურნეობა „განათლებამ“. ახლა ისინი იბრძვიან ივლისის დავალების მთლიანად გასანაღდებლად. აღებული ტემპი მოწმობს იმას, რომ ივლისშიც შეასრულებენ დადებულ პირობას.

მაგრამ ყველგან ასე როდი მუშაობენ. გეგმების შეუსრულებლობაში მარტო ამინდი არ არის მიზეზი. ბევრ კოლმეურნეობაში ხელი შეუშვეს განუწყვეტელ, ყოველდღიურ კრეფას, ამანაც გამოიწვია ჩამორჩენა. 15 ივლისისათვის წლიური გეგმა რაიონში შესრულებულია 37,5 პროცენტით. ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ მაის-ივნისის გეგმა 75,4 პროცენტით შეასრულა. ივლისის ნახევარის მონაცემებიც არასახარბიელოა. ამ გადამწყვეტ თვეში კოლმეურნეობებში უნდა მოიკრიფოს 253 ტონა ჩაის ფოთოლი, 15 ივლისისათვის მოკრეფილი იყო მხოლოდ 67.230 კილოგრამი, გეგმის 28,8 პროცენტი, ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ივლისის დავალება შესრულებულია მხოლოდ 12,69 პროცენტით. საბჭოთა მეურნეობას არც ხარისხობრივი მაჩვენებლები აქვს კარგი. მთელი მოკრეფილი ჩაის 68,93 პროცენტი პირველი ხარისხისაა, მაშინ როცა გეგმით პირველი ხარისხის ჩაი უნდა იყოს სულ მცირე 72 პროცენტი.

ჩაის კრეფის დავალების შესასრულებლად საჭიროა ყოველდღიურად მოიკრიფოს კოლმეურნეობებში 19.900 კილოგრამი, ჩაის საბჭოთა მეურნეობაში—5.900 კილოგრამი. ეს დავალება დღემდე სანახევროდაც არ სრულდება. მაგალითად, 14 ივლისს კოლმეურნეობებში მოიკრიფა 9.359 კილოგრამი ჩაი, საბჭოთა მეურნეობაში—1.162 კილოგრამი, 15 ივლისს კი უფრო ნაკლები მოჰკრიფეს.

დღემდე კიდევ არ არის განსაკუთრებული ზომები მიღებული იმისათვის, რომ ჩაის ფოთოლი იკრიფებოდეს ყოველდღიურად. ბევრგან „ასვენებენ“ ჩაის ბუჩქებს იმ მოტივით, რომ საკრეფი ბლომად შემოვაო. ასეთი „იერიშობანა“ საზიანოა საქმისათვის. ამას ადგილი აქვს ლესიჭინის კიროვისა და ცხაკაიას, ჭოღის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობებში. 21 ივნისს რაიონის 18 კოლმეურნეობას არც ერთი კილოგრამი ჩაი არ მოუკრეფია, 19 ივნისს 24 კოლმეურნეობას, 30 ივნისს—8 კოლმეურნეობას. 1 და 2 ივლისს სულ რაიონში მოკრიფეს 1.216 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, 6 ივლისს 6 კოლმეურნეობას კრეფა არ უწარმოებია. ასეთ ფაქტს ახლაც ვხვდებით რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში.

ყველა ეს „წვრილმანი“ მიზეზი თავის უარყოფითს დაღს ასვამს გეგმის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლების შესრულებაზე.

ამ მდგომარეობამ გავლენა იქონია ჩაის ფაბრიკის პროდუქციის გამოშვებაზეც. ივნისის დავალება ფაბრიკამ თუმცა შეასრულა, მაგრამ ორივე თვის გეგმის შესრულებაში ჩამორჩა, არა აქვს ნედლეული გადასამუშავებლად. ფაბრიკამ „ექსტრა“ ჩაის გამოშვების მაის-ივნისის გეგმა 168 პროცენტით შეასრულა, უმაღლესი ხარისხის გამოშვების გეგმასაც გადაამეტა, ხოლო პირველი ხარისხის გამოშვების დავალება ვერ გაანაღდა. ფაბრიკის დაზგები წელს გამართულად მუშაობენ, მაგრამ ნედლეულის ნაკლებობა აფერხებს მათს წარმადობას.

ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ დავნერგოთ განუწყვეტელი, ყოველდღიური კრეფა, არ დავკარგოთ არც ერთი პირველი ხარისხის ფოთოლი, მთელი ძალები წარვმართოთ ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის მთლიანად შესრულებისათვის.

ნ. ჯანჯღავა

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

სოციალისტური შრომის გმირთა მაგალითის მიხედვით

აჭარის ასს რესპუბლიკის მეჩაიეობის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სერიოზული ყურადღება ეთმობა სოციალისტური შრომის გმირების — ჩაის მაღალი მოსავლის ოსტატების მდიდარი გამოცდილების განზოგადებასა და დანერგვას. ბევრმა ბრიგადამ, რგოლმა და ცალკეულმა კოლმეურნემ გადაიღო სოციალისტური შრომის გმირების — აიშე ქიქავაძის, ულფიე წერეთლისა და ბესირე კონცელიძის მუშაობის მაგალითები, გააძლიერა ჩაის პლანტაციის მოვლა-დამუშავება, აითვისა განუწყვეტელი კრეფის ოსტატობა, და შედეგიც სანიმუშო მიიღეს.

ხუცუბნელმა მეჩაიე სტახანოველმა, სოციალისტური შრომის გმირმა მერგოლურმა ულფიე წერეთელმა შარშან მიჩენილი ორი ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე 10.056 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოჰკრიფა. მისი მაგალითის მიხედვით წელს ჩაის უხვი მოსავლისათვის ათობით კოლმეურნე იბრძვის. შარშან კოლმეურნეობაში მხოლოდ 6 სტახანოვური ნაკვეთი იყო, ამჟამად კი 40 ნაკვეთია გამოყოფილი. მრავალი სტახანოველი მუშაობს უ. წერეთლის გამოცდილების მიხედვით, თვალისჩინივით უვლის ჩაის თვითეულ ბუჩქს. მაგალითად, სტახანოველი ბესირე ნოღაიდელი სანიმუშოდ უვლის პლანტაციას და განუწყვეტლივ ჰკრეფს ჩაის ფოთოლს. 0,5 ჰექტარ პლანტაციაში მან 6 ათასი კილოგრამი ფოთლის მოკრეფა იკისრა, აქედან დღემდე უკვე მოჰკრიფა 3 ათასი კილოგრამი. 5 ივლისიდან იგი ყოველდღე 120 კილოგრამ ჩაის ფოთოლს ჰკრეფს. ასევე შესანიშნავად მუშაობენ სტახანოველები ეთერ ნოღაიდელი, მერი ოთიაშვილი, ემინე გოგიტიძე, მერი მეავანაძე და ბევრი სხვა.

წარმატებით ანაღდებს დიდი ბელადისათვის მიცემულ პირობას სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი აიშე ქიქავაძე. მისმა რგოლმა გეგმით გათვალისწინებული 5.100 კილოგრამის ნაცვლად ივნისში 10 ათასამდე კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოჰკრიფა და თვიური გეგმა 184,4 პროცენტით შეასრულა. პირადად ა. ქიქავაძემ 0,5 ჰექტარ პლანტაციაში მარტო ივნისში მოჰკრიფა 3 ათასი კილოგრამი ჩაი. სოციალისტური შრომის გმირის გამოცდილებით მუშაობს აქ მრავალი მეჩაიე, მაგრამ განსაკუთრებით კარგ შედეგებს აღწევენ თვით ქიქავაძის რგოლის წევრები ულფიე მეავანაძე და ა. ბ. ქიქავაძე, რომლებიც არც პლანტაციების დამუშავებაში და არც კრეფაში თავის ხელმძღვანელს არ ჩამორჩებიან.

ჩაის უხვი მოსავლის მიღებისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვან წარმატებას აღწევს ბათუმის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობა. იგი გეგმას ვადამდე ასრულებს. აქ სტახანოვურად მუშაობენ მერიემ, ხატიჯე და ჰურიე მხეიძეები.

ქობულეთის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველები ფადიმე გიორგაძე და ჰურიე ნაკაშიძე ერთმანეთს ეჯიბრებიან ჩაის უხვი მოსავლის მიღებისათვის. თვითეულს ნახევარი ჰექტარი პლანტაცია აქვს მიჩენილი. მაისსა და ივნისში პირველმა 3.400 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოჰკრიფა, ხოლო მეორემ 3 ათასი კილოგრამი. სეზონის ბოლომდე ისინი დამატებით მრავალ ათას კილოგრამ ჩაის ფოთოლს მოჰკრეფენ. სოციალისტური შრომის გმირთა მაგალითისამებრ ორი ჰექტარი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე 8 ათას კილოგრამ ჩაის ფოთოლს ჰკრეფს აგრეთვე სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველ ჰურიე ბაბულაძის რგოლი.

ქ. რუსიშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

შეტეხილია 6.105.375 ზონარ-მეტრი თამბაქო

ივლისის მეოთხე ხუთდღიურში საქართველოს კოლმეურნეობებმა შეტეხეს 2.370.763 ზონარ-მეტრი თამბაქო. სულ 20 ივლისისათვის კი შეტეხილია 6.105.375 ზონარ-მეტრი, რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 5 პროცენტით.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში გეგმა 2,5 პროცენტით არის შესრულებული, აჭარის ასს რესპუბლიკაში—2,6 პროცენტით, ზუგდიდისა და ჩოხატაურის რაიონებში — 0,4, სიღნაღის რაიონში—5,7, ყვარლის — 6,4, ლაგოდეხის—12,5, მარნეულის—4,1, ბოლნისის რაიონში—2,6 პროცენტით.

ქობულეთის კლინიკურ სანატორიუმის პარკში ი. დამსვენებლები — ც. ბენაშვილი (კოლმეურნე წითელწყაროს რაიონიდან), ი. ბრომბერ გი (პროფესორი ხარკოვიდან), გ. მოლკანოვა (მასწავლებელი მოსკოვიდან) და ი. ფსუტური (რკინიგზის მუშაკი თბილისიდან).

ფოტო რ. აკოფოვისა

საქართველოს საქალაქო და რაიონული თეატრების დათვალიერების მონაწილეთა კონფერენცია

19-21 ივლისს საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კლუბში შესდგა საქართველოს საქალაქო და რაიონული თეატრების მონაწილეთა კონფერენცია, რაც მოაწყო საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა სამმართველომ და საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს მსახიობებმა, რეჟისორებმა, მხატვრებმა, კრიტიკოსებმა, პრესის წარმომადგენლებმა, ფართო საზოგადოებრიობამ.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა შ. დადიანმა.

მოხსენებებით დათვალიერების მეორე ტურში მონაწილე თეატრების მუშაობის შესახებ გამოვიდნენ: ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. გოძიაშვილი (გორის თეატრის შესახებ), დრამატურგი ს. მთვარაძე (თელავის თეატრისა) და კრიტიკოსი ე. ქარელიშვილი (ფოთისა და ბათუმის თეატრების შესახებ).

მოხსენებათა ირგვლივ გამართულ კამათში, რაც ორ დღეს გაგრძელდა, მონაწილეობა მიიღეს რუსმა კრიტიკოსმა ა. ბასეხესმა, დოცენტმა ქ. ბერაძემ, კრიტიკოსმა პ. ბახტურიძემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, რეჟისორმა გ. სულიაშვილმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის რესპუბლიკური თეატრების განყოფილების უფროსმა გ. ოსიპოვმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ა. წუწუნავამ, ფოთის სახელმწიფო თეატრის ხელმძღვანელმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა თ. ლორთქიფანიძემ, დრამატურგმა გ. ქელბაქიანმა, გორის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა პ. ფრანგიშვილმა, ამავე თეატრის მსახიობმა ლ. გურგენიძემ, თელავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა შ. მეავანაძემ, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სარეპერტუარო კომიტეტის წარმომადგენელმა გ. გოგიჩაიშვილმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ვ. ნინიძემ, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. ჩხარტიშვილმა.

მომხსენებლებმა, აგრეთვე კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს ის დიდი წარმატებები, რასაც მიაღწიეს პერიფერიულმა თეატრებმა.

აღნიშნული იქნა დათვალიერების მეორე ტურში მონაწილე თეატრების (გორის, ბათუმის, ფოთის, თელავის) კოლექტივების შემოქმედებითი ზრდა. ამ თეატრებმა თავიანთ დადგმებში გამოამჟღავნეს მაღალი სცენიური კულტურა. მათ ყოველგვარი პირობა გააჩნიათ შემდგომი შემოქმედებითი აღმავლობისათვის.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა კონფერენციის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილეს დრამატურგიის საკითხებზე, ანალიზი გაუკეთეს დათვალიერებაზე წარმოდგენილ სპექტაკლებს, შეეხნენ აგრეთვე სპექტაკლების მხატვრული ხარისხის საკითხს. აღინიშნა ახალგაზრდა მსახიობთა თვალსაჩინო წარმატებანი პერიფერიული თეატრის განვითარების საქმეში, თეატრალურ კადრებში პედაგოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების საჭიროება.

კონფერენციაზე განსაკუთრებული სიმძაფრით დაისვა საკითხი თანამედროვე თემის ამსახველ დრამატიულ ნაწარმოებთა შესახებ. აღინიშნა, რომ თეატრები დიდ ნაკლებობას განიცდიან თანამედროვე ორიგინალური პიესების მხრივ. სიტყვაში გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს, რომ დათვალიერებაზე წარმოდგენილი ერთადერთი ორიგინალური, თანამედროვე თემაზე დაწერილი პიესა—გ. ქელბაქიანის „გამოცდები“ მხატვრულად სუსტია. ასეთი სუსტი პიესების დადგმით ჩვენი თეატრები მხატვრულ წარმატებებს ვერ მიაღწევენ. კონფერენციამ დაჰგმო გ. ქელბაქიანის არასწორი და გაუმართლებელი გამოსვლა კონფერენციაზე.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ პ. კანდელაკმა.

კონფერენცია დაიხურა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის შ. დადიანის დასკვნითი სიტყვით.

გორელ კოლმეურნეთა მოწოდების პასუხად

ადიგენის რაიონში

გორის რაიონის კოლმეურნეთა მიმართვას სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის გაფართოების შესახებ ფართოდ გამოეხმაურნენ ადიგენის რაიონის კოლმეურნეები.

უდე ადიგენის რაიონის ერთ-ერთი მოზრდილი სოფელია. ამ სოფლის შ. რუსთაველის და ზ. ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობების წევრებმა გადაწყვიტეს სასოფლო კლუბისათვის აავონ ახალი ორსართულიანი შენობა, რომელიც 500 მაყურებელს დაიტევს. კლუბის მშენებლობა წელს უნდა დამთავრდეს.

კოლმეურნეებმა თავიანთი სიტყვა საქმედ აქციეს, მასობრივად გამოდიან სამუშაოზე. ამჟამად ადგილზე მიტანილია 1.000 კუბმეტრი გათლილი ქვა (სულ საჭიროა 2.500 კუბმეტრი), ასევე სილა, კირი და სხვა საჭირო მასალა.

უდელ კოლმეურნეებს არც არალის ლ. კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ჩამორჩებიან. აქაც გადასწყვიტეს სასოფლო კლუბისათვის ახალი შენობის აგება. კოლმეურნეები შეუდგნენ საშენი მასალების დამზადებას.

გორელ კოლმეურნეთა კეთილშობილური მაგალითისამებრ სოფელ ყაროუბნის სტალინის სახელობის, სოფელ ქვედა ენთელის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში გაჩაღებულია მუშაობა სასოფლო კლუბებისათვის ახალ შენობათა ასაგებად.

გრ. ზაქარაია

ბორჯომის რაიონში

ბორჯომის რაიონის კოლმეურნეობებში ფართო გამოხმაურება ჰპოვა გორელ კოლმეურნეთა მოწოდებამ. ამ მოწოდების საფუძველზე სოფელ დაბისა და ტაძრისის კოლმეურნეთა საერთო კრებამ გამოიტანა დადგენილება საკოლმეურნეო კლუბების მშენებლობის შესახებ. აღნიშნულ კოლმეურნეობებში ჩქარი ტემპით მიმდინარეობს კლუბების მშენებლობა. ამჟამად დაბის კოლმეურნეობას აქვს 120-ადგილიანი კეთილმოწყობილი კლუბი, ხოლო ტაძრისის კოლმეურნეობას — 250-ადგილიანი.

გორელ კოლმეურნეთა მოწოდებას რაიონის სხვა კოლმეურნეობებიც გამოეხმაურნენ: სოფლების ყვიბისის, მაჭარწყლის, მზეთამზის, ტიმოთეს უბნის, დიდი მიტარბის, დგვარის, ტაბაწყურის, წაღვერისა და ბაკურიანის კოლმეურნეობებში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სასოფლო კლუბების აგება, რაც მიმდინარე წლის დასასრულისათვის დამთავრდება.

ვ. გურგენიძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

საერთაშორისო მიმოხილვა

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

საფრანგეთში წარმოიშვა მთავრობის კრიზისი. ფორმალურად კრიზისი გამოწვეული იყო იმით, რომ მთავრობამ დამარცხება განიცადა ეროვნულ კრებაში სამხედრო კრედიტებისათვის ხმის მიცემის დროს. მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ სამხედრო ბიუჯეტის საკითხში უთანხმოებას მრპ-სა და რობერ შუმანის კოალიციურ მთავრობაში შემავალ სოციალისტებს შორის, სრულიადაც არ ჰქონია პრინციპული ხასიათი. სოციალისტები წინადადებას იძლეოდნენ შემცირებულიყო სამხედრო კრედიტები 12 მილიარდი ფრანკით, მთავრობა კი თანხმდებოდა ამ კრედიტების 8,5 მილიარდი ფრანკით შემცირებას.

კრიზისის ნამდვილი მიზეზი ის არის, რომ შედეგად მთავრობის უუნარობისა — გადაეჭრა ომისშემდგომი უმნიშვნელოვანესი პრობლემები თავისუფლებისმოყვარე ფრანგი ხალხის ეროვნული ინტერესების შესაბამისად, მნიშვნელოვნად გაუარესდა საფრანგეთის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა. შუმან-ბიდოს კაბინეტმა დაახლოებით 8 თვეს იარსება. მაგრამ ამ მოკლე ვადაში, მიიღო რა მარშალის გეგმის კაბალური პირობები, მან მთასწრო საფრანგეთი გადაექცია დოლარის სატელიტად და ამერიკის გეგმით შექმნილი დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის მონაწილედ. გერმანიის საკითხში საფრანგეთმა ამერიკის ზეგავლენით უარი სთქვა ყველა თავის მოთხოვნაზე. მთავრობამ დასთმო ძირითადი ეროვნული ინტერესები რურისადმი საერთაშორისო კონტროლის, რეპარაციებისა და სხვა საკითხებში.

რეაქციულმა კურსმა შუმანის კაბინეტისა, რომელიც უცხოეთის მონოპოლიებისა და საკუთარი „ორასი ოჯახის“ ინტერესებისათვის ცდილობდა შეტევა გაეჩაღებინა ფრანგი ხალხის საარსებო დონეზე, წინააღმდეგობა გამოიწვია მუშათა კლასისა და ყველა იმ მშრომელის მხრივ, რომლებიც დარაზმული არიან საფრანგეთის კომპარტიის გარშემო. ხელისუფლების სათავეში შუმანისა და მისი მთავრობის ყოფნის დროს საფრანგეთში დიდი კლასობრივი შეტაკებები მოხდა. ჯერ კიდევ ამ მთავრობის საქმიანობის პირველ დღეებში საფრანგეთში გადაიარა გაფიცვების მძლავრმა ტალღამ, რომელთა ჩასახშობად შინაგან საქმეთა მინისტრმა „სოციალისტმა“ ჟიულ მოკმა დარაზმა არა მარტო პოლიცია და ჟანდარმერია, არამედ ჯარებიც. მაგრამ ამ ბრძოლის შედეგმა ცხადჰყო, რომ საფრანგეთის მუშათა კლასის ძალები აღემატება საფრანგეთის რეაქციის გაერთიანებულ ძალებსაც კი, რომელიც ამერიკის აშკარა დახმარებას ეყრდნობა.

კლერმონ-ფერანის ამასწინანდელმა ამბებმა კვლავ ცხადჰყვეს მუშათა კლასის ძალა, დარაზმულობა და დისციპლინა. მან კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შესძლო საკადრისი პასუხი გაეცა რეაქციის ხრიკებისათვის. მთავრობის დამხობის ფაქტი ამტკიცებს, რომ ხალხის მასების ბრძოლამ გავლენა მოახდინა მდგომარეობაზე პარლამენტშიც.

„მესამე ძალის“ ბლოკის ანტინაციონალურ-რეაქციულ პოლიტიკას საფრანგეთის კომპარტიამ დაუპირისპირა მუშათა კლასის, გლეხობის, ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის, მშრომელი ინტელიგენციის ძალთა გაერთიანების პროგრამა ეროვნული და ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის, მშრომელთა საარსებო ინტერესების უზრუნველყოფისათვის, მშვიდობის, დემოკრატიისა და რესპუბლიკის განმტკიცებისათვის საბრძოლველად.

ბურჟუაზიული პარტიები და მემარჯვენე სოციალისტები ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობენ, რომ ახალ კაბინეტში შეინარჩუნონ და განამტკიცონ საფრანგეთის პოლიტიკის საერთო რეაქციული კურსი. რეაქციულ ბანაკს სურს განახორციელოს მარჯვენისაკენ გადახრა კაბინეტში გენერალ დე გოლის ზოგიერთი მომხრის შეყვანის გზით. ამ მხრივ ყურადღების ღირსია გაზეთ „ფრან-ტირერის“ მითითება, რომ ყოფილ პრემიერ რობერ შუმანს „სურდა კრიზისი და ცდილობდა მის დაჩქარებას“. დე გოლის მომხრეები ფიქრობენ, რომ მომავალი მთავრობის მთავარი ამოცანა უნდა იყოს დე გოლისათვის ხელისუფლებისაკენ გზის გაკაფვა.

რაც შეეხება სოციალისტურ პარტიას, როგორც მისი გენერალური მდივნის გი მოლეს მიერ პრეზიდენტთან ყოფნის შემდეგ გაკეთებული განცხადებიდან სჩანს, მემარჯვენე სოციალისტები მზად არიან მონაწილეობა მიიღონ ყოველგვარ ახალ კოალიციურ მთავრობაში.

კომუნისტური პარტია ამხელს ბურჟუაზიული პარტიებისა და მემარჯვენე სოციალისტების მიერ მომზადებულ ახალ გარიგებას რეაქციასთან, მოუწოდებს [illegible] დემოკრატიული რესპუბლიკური მთავრობის შესაქმნელად ბრძოლისაკენ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საპარლამენტო ჯგუფი მოითხოვენ დემოკრატიული ერთიანობის მთავრობის შექმნას, რომელიც მუშათა კლასის ნდობით ისარგებლებს და თავისი პროგრამის გატარებაში ხალხს დაეყრდნობა.

ამერიკის რეაქციის ანტიკომუნისტური ლაშქრობა

ამერიკის შეერთებულ შტატებში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელების დაპატიმრება მომზადებული იყო ხანგრძლივი კამპანიით, რომელსაც ატარებდნენ რეაქციული წრეები ეგრეთწოდებული „ორპარტიული პოლიტიკის“ ფარგლებში, რომელიც კვლავ იქნა დადასტურებული რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების საარჩევნო პლატფორმებში. დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე გამოსული რეაქციული ლიდერები განსაკუთრებულ დამსახურებადაც კი სთვლიდნენ „ამერიკელი ერის“ წინაშე, რომ მათ „მსოფლიო კომუნიზმის“ წინააღმდეგ საბრძოლველად ისეთი იარაღები შექმნეს, როგორიცაა ტრუმენის დოქტრინა და მარშალის გეგმა, რომლებიც მოწოდებული არიან დაამკვიდრონ მთელ მსოფლიოში „დემოკრატიის“ ამერიკული სისტემა და „ამერიკული აზროვნება“.

ამ ექსპანსიონისტური გეგმების გამოჩენას ამერიკის შეერთებულ შტატებში თან ახლდა რეაქციული კანონების განხორციელება. ამ კანონების მიზანი იყო ჩაეხშოთ ხალხის ფართო მასების ბრძოლა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლებმაც უარი სთქვეს მსოფლიოს ომისშემდგომი მოწყობის საქმეში საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის რუზველტის კონცეფციაზე. ეს კანონები მოწმობდნენ იმ საბიფათო გზას, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები თვითონ დაადგნენ და რომლისკენაც სხვა სახელმწიფოებს უბიძგებდნენ.

„საშიში აზრების“ წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლას ხელმძღვანელობს „ლოიალობის შემომწმებელი“ და „ანტიამერიკული საქმიანობის“ გამომძიებელი კონგრესის სპეციალური კომისია.

მაგრამ მშრომელთა საარსებო ინტერესებზე მონოპოლისტური კაპიტალის შეტევისათვის ხალხის ფართო მასების წინააღმდეგობა არა თუ არ შესუსტებულა, არამედ, პირიქით, შესამჩნევად გაძლიერდა. ამას, უწინარეს ყოვლისა, მოწმობს მესამე, პროგრესული პარტიის შექმნა, რომელსაც ჰენრი უოლესი მეთაურობს, და ამ პარტიის სწრაფი ზრდა. რამდენიმე თვის მანძილზე უოლესის პარტიამ, რომელსაც ამერიკაში მხარს უჭერს ყველა დემოკრატიული ელემენტი, იმდენად მრავალი მომხრე შეიძინა, რომ მთელ რიგ შტატებში შესძლო რეგისტრაციაში გატარებულიყო, როგორც მესამე პარტია პრეზიდენტის არჩევნებში და კონგრესის არჩევნებში მონაწილეობისათვის.

უოლესის პარტიის ძალების ზრდა აიხსნება უწინარეს ყოვლისა იმით, რომ იგი გამოვიდა სსრ კავშირთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების სასარგებლოდ, მარშალის გეგმისა და ტრუმენის დოქტრინის წინააღმდეგ, დასავლეთის ბლოკის წინააღმდეგ, ერთი სიტყვით, ამერიკის მონოპოლიების იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ. უოლესის წარმატება მოწმობს იმას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მილიონობით „უბრალო ადამიანი“ შეშფოთებულია საბჭოთა კავშირისადმი მტრული პოლიტიკის შედეგებით, მოწმობს მათს სურვილს მიაღწიონ მტკიცე და მყარ მშვიდობას. ამერიკის შეერთებულ შტატებში „უბრალო ადამიანებს“ აშინებთ ეკონომიური კრიზისის პერსპექტივა, რომლის წინამორბედნი დროდადრო იჩენენ თავს.

კომპარტიის ხელმძღვანელთა დაპატიმრება შემთხვევით როდი მოხდა ფილადელფიაში მესამე პარტიის ეროვნული ყრილობის გახსნის წინ. რეაქციულ წრეებს, რომლებიც უოლ-სტრიტის დირექტივებს ახორციელებენ, სურთ გასთიშონ მათი მოწინააღმდეგე ბანაკი დემოკრატიისა და პროგრესისა, რომლის ძალები ამერიკის შეერთებულ შტატებში დღითიდღე მტკიცდება. რეპრესიები კომპარტიის წინააღმდეგ აშკარად გათვალისწინებულია იმისათვის, რომ გააძლიერონ ბრძოლა უოლესის პარტიის წინააღმდეგაც, დეზორგანიზაცია შეიტანონ მის რიგებში.

ქ. გოფმანი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭოს სესიაზე

ჟენევა, 23 ივლისი. (სატასი). დღეს მუშაობას შეუდგა საბჭოს 3 კომიტეტი: სოციალური, ადამიანის უფლებათა საკითხისა და ეკონომიური.

ადამიანის უფლებათა საკითხის კომიტეტმა მუშაობა დაიწყო ქალთა მდგომარეობის საკითხის კომისიის მეორე სესიის მოხსენების განხილვით. განხილვა ამ მოხსენების ყველა მნიშვნელოვანი რეკომენდაციისა ქალებისათვის მამაკაცთა თანაბარი პოლიტიკური და ეკონომიური უფლებების და განათლების უფლების მინიჭების შესახებ, მიუხედავად საბჭოთა დელეგაციის მტკიცე მოთხოვნისა, საბჭოს წარსულ სესიაზე გადაიდო. ახლანდელ სესიაზე დისკუსიის დასაწყისშივე ზოგიერთმა დელეგაციამ, კერძოდ ბრაზილიისამ, კვლავ სცადა ჩამოეშორებინა კომიტეტის ყურადღება კომისიის მოხსენების ამ არსებითი პუნქტებისათვის, რომლებიც კაპიტალისტური ქვეყნების მილიონობით ქალთა საარსებო ინტერესებს ეხება.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა კომიტეტში ა. პ. პავლოვმა გააკრიტიკა ამ დელეგაციების პოზიცია და აღნიშნა, რომ კომიტეტმა თავი აარიდა თავის ამოცანას, სახელდობრ: კომისიის მოხსენების განხილვას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლიტიკური ხასიათის მოსაზრებებით, ზოგიერთი დელეგაცია პირველ რიგში აყენებს ისეთ საკითხებს, რომლებიც დიდი ყურადღების ღირსი არაა. პავლოვმა წინადადება წამოაყენა პირველ რიგში განხილულ იქნას მოხსენების ის პუნქტები, რომლებიც ეხება პოლიტიკურ და ეკონომიურ უფლებებს და ქალთა განათლების უფლებას.

პავლოვმა აღნიშნა ამ საკითხების დიდი მნიშვნელობა და მოაგონა სხდომას, რომ 30 ქვეყანაში ქალები დღემდეც არ სარგებლობენ არავითარი პოლიტიკური უფლებით, ხოლო ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით კოლონიებში, ქალებს სრულებით დახშული აქვთ განათლების გზა. იგივე ხდება ქალთა ეკონომიური უფლებების მხრივ, ვინაიდან ისეთ ქვეყნებშიც კი, რომლებიც თავიანთ თავს დემოკრატიულ და ცივილიზებულ ქვეყნებად სთვლიან, არ არის თანაბარი ანაზღაურება ქალებისა და მამაკაცების თანასწორი შრომისათვის.

პავლოვმა წინადადება წამოაყენა დაუყოვნებლივ შეუდგნენ მის მიერ ჩამოთვლილი საკითხების განხილვას და გადაწყვეტილებათა მიღებას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ უკვე ორი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც გენერალურმა ასამბლეამ 1946 წლის დეკემბერში მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ყველა სახელმწიფოს რჩევას აძლევდა უზრუნველეყოთ ქალებისათვის მამაკაცთა თანაბარი პოლიტიკური უფლებების მინიჭება.

პოლიციის კონტროლი აზროვნებისადმი ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 23 ივლისი. (სატასი). ვაშინგტონის შტატის საკანონმდებლო ორგანომ ამას წინათ შექმნა ანტიამერიკული საქმიანობის გამომძიებელი საკუთარი კომისია, რომელიც ამჟამად ისმენს „მოწმეთა“ ჩვენებას ვაშინგტონის შტატში „კომუნისტური საქმიანობის“ შესახებ.

ვაშინგტონის შტატში შექმნილმა ანტიამერიკული საქმიანობის გამომძიებელმა კომისიამ ხელისუფალთადმი „უპატივცემლობაში“ დასდო ბრალი ვაშინგტონის შტატის უნივერსიტეტის ოთხ პროფესორს იმისათვის, რომ მათ უარი განაცხადეს პასუხი გაეცათ კითხვებზე მათი პოლიტიკური სიმპათიების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ ესწრებოდნენ თუ არა ისინი კომუნისტურ კრებებს. კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროფესორების საქმეს ადგილობრივ სასამართლოებში გაარჩევენ.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი ლოს-ანჯელოსიდან იუწყება, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებმა მთავრობის ადგილობრივი დაწესებულებების 104 მოსამსახურეს უბრძანეს ხელი მოაწერონ ეგრეთწოდებულ „განცხადებას ლოიალობის შესახებ“. ხელისუფლებმა განაცხადეს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სამუშაოდან დაითხოვენ მოელით. დღემდე მოსამსახურენი უარს აცხადებენ „განცხადების“ ხელმოწერაზე, ვინაიდან იქ ჩამოთვლილია 150 მასობრივი ორგანიზაცია, რომლებიც ამას წინათ „ძირგამომთხრელად“ გამოაცხადა კალიფორნიის შტატის საკანონმდებლო ორგანოსთან შექმნილმა ანტიამერიკული საქმიანობის გამომძიებელმა კომისიამ.

იუგოსლავიელ კომუნისტთა ჯგუფი უერთდება თავის თანამემამულეთა ღია წერილს იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის მეხუთე ყრილობისა და იუგოსლავიის ყველა კომუნისტისადმი

ჩვენ, იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის წევრები, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამხედრო სასწავლებლებში მოსწავლენი, ერთსულოვნად ვუერთდებით ჩვენი თანამემამულეების ღია წერილს იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის მე-5 ყრილობისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ყველა კომუნისტისადმი, სადაც მათ გადამწყვეტი პროტესტი განაცხადეს იმ მტრული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ახორციელებს იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლანდელი ხელმძღვანელობა საბჭოთა კავშირის, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ), ყველა მოძმე კომპარტიისა და ახალი დემოკრატიის ქვეყნების მიმართ.

იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის წევრები:

ივანე ოჩანი, ჯორჯე ვიჩნევიჩი, ბორისლავ დრაგიშიჩი, ხტევო ბოიჩი, ჟივა უებელიანი, ვასო იოვანოვიჩი, მიოდრაგ კროტიჩი, ზდრავკო კოვაჩევიჩი, ილია ჩუკი, როდოსლავ ბარიაქტაროვიჩი, მირკო სიროვინა, სრეტენ მოშოვიჩი და სხვები,—სულ 87 ხელმოწერა.

პროტესტები ამერიკის შეერთებულ შტატებში კომპარტიის ხელმძღვანელთა დაპატიმრების წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 23 ივლისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში ფართოვდება პროტესტები კომპარტიის ხელმძღვანელთა დაპატიმრების წინააღმდეგ.

გაზეთ „დეილი უორკერის" ცნობით, ზეწვეულის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარემ გოლდმა განაცხადა, რომ „კომპარტიის ლიდერთა დაპატიმრება, რაც კანონით დადასტურებულია, —კიდევ ერთი ნაბიჯია ამერიკელი ხალხის კონსტიტუციურ პრივილეგიათა და დემოკრატიულ უფლებათა ლიკვიდაციის გზაზე". „დარწმუნებული ვარ,—სთქვა გოლდმა,—რომ კომუნისტების, პროფკავშირული მოძრაობისა და ამერიკელი ხალხის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება დამარცხდება. დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკელმა ხალხმა ერთგვარი გაკვეთილი მიიღო გერმანიის, იტალიისა და ესპანეთის ბედის მიხედვით.. ამერიკელები მჭიდროდ დაირაზმებიან უოლესის მესამე პარტიის გარშემო და უდრეკად ქმედითი წინააღმდეგობას გაუწევენ ხალხის მტრებს".

საწარმოო პროფკავშირთა კონგრესში შემავალი მეზღვაურთა პროფკავშირის მდივანმა სმიტმა განაცხადა: „კომპარტიის ლიდერთა დაპატიმრება კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთია, რომ რეაქციონერები ჩვენს მთავრობაში გააფთრებით ცდილობენ ამერიკელი ხალხის ყურადღება აალილონ ძირითად საკითხებს, რომლებიც დღეს მის წინაშე დგას. ეს რეაქციონერები ფიქრობენ, რომ თუ ისინი ასტეხენ ყვირილს „წითელი და კომუნისტური საფრთხის შესახებ, ვეტერანი თანახმა იქნება ღამე ათიოს პარკში, დიასახლისს დაავიწყდება სურსათის გადიდებული ფასები, ზანგი თეთრკანიანის ბატონობას დაემორჩილება, მუშა დათანხმდება ხელფასის შემცირებას, ხოლო ახალგაზრდობა აღარ ეცდება განათლება მიიღოს, დაქორწინდეს და ბედნიერება მოიპოვოს".

„საგულისხმოა,—განაცხადა კონგრესის წევრმა ამერიკის მუშათა პარტიისაგან მარკანტონიომ, —რომ კომპარტიის ლიდერებს ბრალდებანი მას შემდეგ წაუყენეს, რაც მარცხით დამთავრდა კონგრესის ცდა—მიეღო მუნდტის კანონპროექტი, რომელიც კომპარტიის აკრძალვას მოითხოვს. ეს ბრალდებანი მიმართულია კომპარტიის კანონიერი არსებობის წინააღმდეგ".

21 ივლისის თავისუფლების ქანდაკებასთან მოეწყო 200 ქალის—სხვადასხვა ორგანიზაციის წევრების—მიტინგი. მიტინგზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც ტრუმენს მოუწოდებს შესწყვიტოს კომუნისტების დაპატიმრება და მოითხოვს, რომ კონგრესმა დაითხოვოს ანტიამერიკული საქმიანობის გამომკვლევი კომისია.

„სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლის კონგრესის" მიერ მოწყობილმა საგანგებო კონფერენციამ, რომელსაც დაესწრო პროფკავშირთა 200-ზე მეტი ლიდერი და სხვა პირნი, ჩამოაყალიბა მოქმედების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს, 29 ივლისს ვაშინგტონს გაიგზავნოს მასობრივი დელეგაცია, რათა მოითხოვოს, რომ მოხსნან ბრალდება ამერიკის კომპარტიის ხელმძღვანელებს, კონგრესმა მიიღოს კანონი ლინჩის წინააღმდეგ და ახალი კანონმდებლობა სამოქალაქო უფლებათა საკითხზე.

კომპარტიამ გამოაცხადა, რომ 2 აგვისტოს მედისონ-სკვერ გარდენში ეროვნული ყრილობის გახსნასთან დაკავშირებით მოეწყობა საპროტესტო მიტინგი სასამართლო ინსცენირების წინააღმდეგ.

„სამოქალაქო თავისუფლებათა დაცვის კავშირმა" წერილით მიმართა იუსტიციის მინისტრ კლარკს, სადაც გადაჭრით ილაშქრებს კომპარტიისა და მისი წევრების სასამართლო დევნის წინააღმდეგ.

„ამერიკის შეერთებული შტატები დიდძალ ფულსა და რესურსებს ახვედრებს იაპონიის აღდგენისათვის, რითაც მას აქცევენ პოტენციურ საფრთხედ წყნარი ოკეანის ყველა ქვეყნისათვის" (გაზეთებიდან).

ნახატი გ. ლომიძისა.

ტოლიატის განცხადება

რომი, 23 ივლისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „უნიტა" იუწყება, ტოლიატის ჯანმრთელობა თანდათან უმჯობესდება. გუშინ იგი ერთხანს ისვენებდა სავარძელში და გაზეთებს ათვალიერებდა. იგი ინახულეს ლონგომ, ნეგარვილემ და პაიეტამ. როგორც გაზეთი „ავანტი" იუწყება, პროფესორ ვალდონის აზრით, ავადმყოფს საფრთხე აღარ მოელის.

გუშინ საღამოს ტოლიატიმ მიიღო რესპუბლიკის გენერალური პროკურორი ხრომატიზი, რომელიც პალანტეს საქმის გამოძიებას აწარმოებს. პროკურორმა მთელი რიგი შეკითხვები მისცა ტოლიატის თავდასხმის გარემოებისა და დამნაშავის ვინაობის შესახებ.

ანსას სააგენტოს ცნობით, ტოლიატიმ პროკურორს განუცხადა, გასროლის ხმა გავიგონე, მაგრამ თავდამსხმელის სახე არ დამინახავს და საერთოდ მის შესახებ არაფერი ვიცი; წინათ პალანტეს ტოლიატისთან არ ულაპარაკნია და არც რაიმე თხოვნით მიუმართავს მისთვის.

ამერიკის კომპარტიის ხელმძღვანელთა მიმართვა იაპონიის კომპარტიისადმი

ნიუ-იორკი, 23 ივლისი. (საკდესი). გაზეთ „დეილი უორკერის" ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის თავმჯდომარემ ფოსტერმა და გენერალურმა მდივანმა დენისმა 21 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის სახელით იაპონიის კომპარტიას მიმართვა გაუგზავნეს, რომელშიც აღშფოთებას გამოსთქვამენ იაპონიის კომპარტიის ლიდერ ტოკუდაზე თავდასხმის გამო. მიმართვაში ნათქვამია, რომ „დანაშაულობის ნამდვილი შთამგონებელია ამერიკის იმპერიალიზმი". ფოსტერი და დენისი ბრალად სდებენ ამერიკის იმპერიალიზმს, რომ იგი ცდილობს „მთელ მსოფლიოში შექმნას ფაშისტური პროვოკაციებისა და ძალადობის ატმოსფერო. ამხანაგების ტოკუდას და ტოლიატის მოკვლის ახლანდელ ცდებთან ერთად შეერთებულ შტატებში აშკარა ანტიკომუნისტური პროვოკაცია ხდება".

შემდეგ ფოსტერი და დენისი ეხებიან ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ლიდერთა დაპატიმრებას და სწერენ: მონოპოლიები უპრეცედენტო ქედმაღლობით მოითხოვენ ატომურ ომს და ფაშისტურ შეტევას ამერიკის პროფკავშირებისა და დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ და ბედავენ ჩვენს კომუნისტურ პარტიას ბრალად დასდონ, რომ იგი „ძალისა და ძალადობის გამოყენებას იცავს". თავიანთ მიმართვაში ფოსტერი და დენისი პირობას იძლევიან წინააღმდეგობა გაუწიონ „საზიზღარ სასამართლო ინსცენირებას" და რწმენას გამოსთქვამენ, რომ ამერიკელი ხალხის დიდი უმრავლესობა მიხვდება, რომ ამერიკის იმპერიალიზმის შეტევის მთავარ ობიექტს წარმოადგენს „მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის მთელი საერთაშორისო ბანაკი" და არა მარტო ტოკუდა და ამერიკის კომპარტიის ლიდერები.

გერმანიის საბჭოთა ზონაში მოქმედი დივერსიულ-ტერორისტული ჯგუფის მონაწილეთათვის გამოტანილი განაჩენი

ბერლინი, 23 ივლისი. (საკდესი). გერმანიის საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის სამხედრო ტრიბუნალმა სხვადასხვა ვადის სასჯელი გამოუტანა იმ არალეგალური დივერსიულ-ტერორისტული ჯგუფის 21 მონაწილეს, რომელიც მოქმედებდა საქსონია-ანჰალტის მხარის ტერიტორიის დასავლეთი ზონების მომიჯნავე რაიონებში. 21-დან 16 დამნაშავეს ოცდახუთი წლის პატიმრობა მიესაჯა თვითეულს.

დივერსიულ-ტერორისტული ჯგუფი უცხოეთის ერთ-ერთი დაზვერვის დავალებით 1947 წლის მეორე ნახევარში შექმნა ვინმე გიუნტერ ფრანკემ, რომელმაც 1945 წლის თებერვალში სპეციალური მომზადება გაიარა ჰალბერშტადტის ბანაკში, შემდეგ კი, ომი რომ დამთავრდა, დამატებითი ინსტრუქციები მიიღო დასავლეთ გერმანიაში მყოფი დაინტერესებული ინსტანციებისაგან.

ფრანკეს არალეგალურმა დივერსიულ-ტერორისტულმა ჯგუფმა 1947 წლის 4 ოქტომბერს აფეთქება მოაწყო გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ქალაქ ბ-ის საქალაქო ორგანიზაციის შენობაში; 1947 წლის 6 დეკემბერს—აფეთქება გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის რაიონული ორგანიზაციების შენობაში იმავე ქალაქში. უკანასკნელ ხანს ჯგუფი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის შენობის აფეთქებას ამზადებდა ქალაქ ნ-ში.

სტალინის სახელობის თბილისის კულტურისა და დასვენების პარკი. **სურათზე:** მარცხნივ—პარკის მთავარი შენობა, მარჯვნივ—ი. ბ. სტალინის მონუმენტი პარკის ხეივანში.



სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის 10 წლისთავი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე, თბილისის ბოლშევიკები შეუდგნენ უდიდესი შემოქმედებითი ამოცანის გადაჭრას — ბოლო მოეღოთ დედაქალაქის საქალაქო მეურნეობის ნგრევისა და ჩამორჩენისათვის, განეხორციელებინათ მისი რეკონსტრუქცია. ამ შემოქმედებითს მუშაობაში უდიდესი ხელმძღვანელი როლი ეკუთვნის ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

სტალინურმა ხუთწლედებმა თბილისის განაპირა უბნები გადააქციეს კეთილმოწყობილ მუშათა რაიონებად, სადაც წარმოიშვნენ ახალი ქარხნები, ფაბრიკები, სადაც აგებულია ახალი დიდი სახლები, სკოლები, საავადმყოფოები, საბავშვო ბაგები, კლუბები, გადაიგეგმა ძველი და გაიჭრა ახალი ქუჩები, მოწყობილია პარკები და სკვერები მშრომელთა დასასვენებლად.

ჩვენი დედაქალაქის მშრომელთა საყვარელ დასასვენებელ ადგილად ითვლება ფუნიკულიორის პლატო (მთაწმინდა) — სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი. იგი გაიხსნა 1938 წლის 24 ივლისს, რაც გადაიქცა თბილისის მშრომელთა სასიხარულო დღესასწაულად. ამხანაგ სტალინის სახელობის პარკის გაშენება მოწმობს ქალაქის კეთილმოწყობის შეუჩერებელ ზრდას.

არქიტექტორებმა, მხატვრებმა, მშენებლებმა, მებაღე-დეკორატორებმა თავიანთი ენერგია, სიყვარული და ცოდნა მოახმარეს ამ დიდ კულტურულ საქმეს. პარკს ამშვენებს ახალი სამსართულიანი შენობა, რომელიც მორთულია მარმარილოთი და გრანიტით, მის არქიტექტურაში ნაციონალური ქართული მოტივები ჰარმონიულად გამოხატავენ სიხარულის გრძნობებს. მშვენიერ ნაგებობაში აღბეჭდილია მისი მშენებლების დიდი ნებისყოფა და შემოქმედებითი გაქანება.

ლამაზ, დიდ, ფართო აივნებიან შენობაში მოთავსებულია ფუნიკულიორის სადგურის ვესტიბიული, საბავშვო ოთახი, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, საჭადრაკო ოთახი, საბილიარდო, რესტორანი და მთელი რიგი სხვა სპეციალურად მოწყობილი დარბაზები.

შენობის აივნიდან მოსჩანს ქალაქ თბილისისა და მისი მიდამოების შესანიშნავი პანორამები, მდინარე მტკვრის ხეობა, სამგორის ტერიტორია, კავკასიონის ქედი, კარგ ამინდში კი თოვლით დაფენილი ზვიადი მყინვარის მწვერვალი.

პარკის სიღრმეში აღმართულია ამხანაგ სტალინის მონუმენტური ქანდაკება ფიქალის პოსტამენტზე.

ზაფხულის დღეებში დილიდან შუაღამემდე პარკში ხალხი ნაკადივით მიდის. დღისით ბავშვებისათვის არის სხვადასხვა გასართობი, კინოთეატრი, ესტრადა.

პარკში გაჩაღებულია დიდი მასობრივ-კულტურული მუშაობა.

მშრომელთა ეს შესანიშნავი დასვენების ადგილი ჯერ კიდევ საკმარისად არ არის უზრუნველყოფილი მიმოსვლის ახალი საშუალებებით. საჭიროა ამას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, რათა ყველა მსურველს საშუალება ჰქონდეს შეუფერხებლად ავიდეს კულტურულად გართობისათვის ჩვენი ქალაქის ამ ულამაზეს კუთხეში.

ინჟინერი გ. ბეჟანიშვილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

ეთნოგრაფიული ექსპედიცია ქართლში

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი და აკადემიკოს ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი ამ დღეებში გზავნიან კომპლექსურ ეთნოგრაფიულ ექსპედიციას ქართლის შესასწავლად. ეს იმ სამუშაოთა განგრძობა იქნება, რაც შარშან დუშეთისა და მცხეთის რაიონებში ჩატარდა. ექსპედიცია ამჯერად იმუშავებს ლენინგორის, კასპისა და გორის რაიონებში.

ექსპედიციის მიზანია გამოავლინოს ხალხური ყოფის თავისებურებანი მეურნეობის ძირითად, წამყვან დარგებში, როგორიცაა მემინდვრეობა, მეხილეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა, აგრეთვე შეისწავლოს სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი საკითხები. ამასთან ერთად ექსპედიციას განზრახული აქვს ადგილზე დაადგინოს მთისა და ბარის მოსახლეობის კულტურის გამყოფი ძირითადი მაჩვენებლები. ექსპედიცია საგანგებოდ შეისწავლის ახალ ყოფას მის კონკრეტულ ეთნოგრაფიულ გამოვლინებაში.

მუშაობის პროცესში ხალხის ძველი და ახალი ყოფის აღწერასთან ერთად შესრულებული იქნება სხვა სამუშაოებიც—მატერიალური კულტურის ძეგლების გაზომვა, ჩახატვა, ფოტო და კინოგადაღება და სხვა. ექსპედიცია შეიძენს აგრეთვე კოლექციებს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისათვის.

ექსპედიციას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი გ. ჩიტაია.

ქსნის ხეობის არქიტექტურული ძეგლების შესწავლა

აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი შეუდგა ჩვენი რესპუბლიკის ფორტიფიკაციული და საერო ნაგებობათა შესწავლას. ქართულ ხელოვნების ეს დარგი ნაკლებადაა შესწავლილი. ამ მიზნით მოეწყო ექსპედიცია ქსნის ხეობაში, სადაც ეს ძეგლები, შედარებით კომპლექსურადაა წარმოდგენილი. ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ: ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ზაქარაია (ხელმძღვანელი), არქიტექტორები: ი. ქავთარაძე, ვ. წილოსანი, ა. ამბროლაშვილი და ფოტოგრაფი ვ. თულაშვილი.

ექსპედიციამ 25 დღის განმავლობაში სრულად აღწერა, აზომა და ფოტოგრაფიულად გადაიღო მდინარე ქსნის ხეობისა და მასში შემავალ ყველა დიდი და პატარა ხევის მანამდე ხელოვნებათმცოდნეობის ლიტერატურაში სრულიად უცნობი ფორტიფიკაციული და სამოქალაქო ნაგებობანი. ამ ვრცელ ტერიტორიაზე აღმოჩნდა მრავალი მეტად საინტერესო ციხესიმაგრე და სასახლე, დაწყებული ადრეულ ფეოდალური ხანიდან, ვიდრე XIX საუკუნის დასასრულამდე. ამათგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, როგორც უძველესნი და ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები, უკანაპნის, ქარჩოხის, „ლავერდის" ზერეხისა და წინვების ციხე-სიმაგრეთა რთული კომპლექსები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ისეთ მძიმე ეპოქაში, როგორიც იყო მე-18 საუკუნე, ამ ხეობაში მშენებლობა კი არ შენელებულა, არამედ თავისი მასშტაბით გადააჭარბებია მანამდე არსებულსათვის. ამის მაგალითს მუხრანის, ქსოვრისისა და ლარგვისის უზარმაზარი ნაგებობანი წარმოადგენენ.

ამ ხეობაში ექსპედიციის მიერ შეგროვილი და ჩამოტანილი იქნა სხვადასხვა დანიშნულების ჩუქურთმიანი და ცხოველთა გამოსახულებიანი ქვები, აგრეთვე ჰედური ხელოვნების საინტერესო ნიმუშები და კერამიკული ნაწარმოები.

ჩვენს დედაქალაქში

✪ დამთავრდა საქართველოს პირველობის გათამაშება ფრენბურთში. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, სტალინირისა და გაგრის გუნდები. ფრენბურთში საქართველოს სსრ ჩემპიონის სახელი მოიპოვეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის როგორც ქალთა, ისე ვაჟთა გუნდებმა.

✪ ორჯონიკიძის რაიონში გაიხსნა ოთხი საზაფხულო გამაჯანსაღებელი მოედანი. სულ მოედანზე გატარდება 200 ბავშვი.

✪ ბიბლიოთეკის მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მოეწყო სამთვიანი გადასამზადებელი კურსები. აღნიშნულ კურსებზე 80 კაცი დაეუფლება საბიბლიოთეკო პროფესიას.

✪ თბილისში 236 უფასებრივი ბიბლიოთეკაა, რომლებშიც დაცულია 5.400 ათასი წიგნი. წელს დამატებით გაიხსნება სამი მასობრივი და ორი საბავშვო ბიბლიოთეკა.

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

26 ივლისს, საღამოს 8 საათზე, შესდგება ამხ. ზავრიევის ლექცია თემაზე: **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".**

26 ივლისს, საღამოს 8 საათზე, შესდგება ამხ. მირიანაშვილის კონსულტაცია საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიაში.

26 ივლისს, საღამოს 8 საათზე, შესდგება ქალაქის მსხვილ საწარმოთა დირექტორებისა და მთავარი ინჟინრების სემინარი თემაზე: **„სოციალიზმის მატერიალურ-საწარმოო ბაზა".**

ლექტორები ამხ. ვ. მელქაძე და ამხ. რ. მელაძე.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ი. ნატროშვილი

გრძელდება განცხადებათა მიღება მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლეს ტექნიკურ ინსტიტუტებში შემსვლელთათვის.

განცხადებები მიიღება 12 აგვისტომდე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის კანცელარიაში (II კორპუსი, მარის ქ. № 3).

გამოცდები იმ პირთათვის, რომელნიც განცხადებას შემოიტანენ 1-12 აგვისტომდე, იწარმოებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოცდო კომისიაში. გამოცდები დაიწყება 12 აგვისტოს დილის 9 საათზე და დამთავრდება 20 აგვისტოს.

20-22 აგვისტოს იწარმოებს ჩარიცხვა. ჩაირიცხებიან ისინი, რომელნიც ყველა საგანში მიიღებენ შეფასებას არანაკლებ 4-სა.

ჩარიცხულნი მოსკოვსა და ლენინგრადში გაემგზავრებიან 25-26 აგვისტოს.

ჩარიცხულნი მოსკოვსა და ლენინგრადში უზრუნველყოფილ იქნებიან სტიპენდიითა და საერთო საცხოვრებლით.

გამოცდები იწარმოებს შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად:

1. ლენინის ორდენოსან მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.
2. მოლოტოვის სახელობის მოსკოვის ენერგეტიკულ ინსტიტუტში.
3. გუბკინის სახელობის მოსკოვის ნავთის მრეწველობის ინსტიტუტში.
4. სტალინის სახელობის მოსკოვის ფოლადის ინსტიტუტში.
5. მენდელეევის სახელობის მოსკოვის ქიმია-ტექნოლოგიის ინსტიტუტში.
6. კუიბიშევის სახელობის მოსკოვის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტში.
7. მოლოტოვის სახელობის მოსკოვის საგზაო-საავტომობილო ინსტიტუტში.
8. კაგანოვიჩის სახელობის მსუბუქი მრეწველობის მოსკოვის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში.
9. მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტში.
10. მოსკოვის კვების მრეწველობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში.
11. მოლოტოვის სახელობის მოსკოვის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტში.
12. მოსკოვის ავტომექანიკურ ინსტიტუტში.
13. მოსკოვის მექანიკურ ინსტიტუტში.
14. მოსკოვის დაზგათმშენებლობის ინსტიტუტში.
15. ბაუმანის სახელობის მოსკოვის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში.
16. მოსკოვის პოლიგრაფიულ ინსტიტუტში.
17. მოსკოვის საავიაციო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში.
18. ორჯონიკიძის სახელობის მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტში.
19. კალინინის სახელობის ლენინგრადის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.
20. ლენინგრადის ზუსტი მექანიკისა და ოპტიკის ინსტიტუტში.

ყოველგვარი ცნობების მიღება აღნიშნულ საკითხებზე შეიძლება ყოველდღე:

ა) სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის კანცელარიაში 10-დან 1 საათამდე ამხ. შ. ცაგარეიშვილთან.

ბ) განათლების სამინისტროში 12-დან 3 საათამდე ამხ. მ. ჩხეტიასთან, ოთახი № 16.

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტრო — საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას სტაციონარზე, დაუსწრებელზე და საღამოს განყოფილებების შემდეგ ფაკულტეტებზე: 1. საამშენებლო, 2. ხიდების და გვირაბების, 3. მექანიკური, 4. საექსპლოატაციო.

ქართულ და რუსულ სექტორებზე განცხადებების მიღება სწარმოებს ინსტიტუტში: თბილისი, პლეხანოვის პროსპექტი № 138.

აზერბაიჯანულ სექტორზე და საღამოს განყოფილების რუსულ სექტორზე განცხადებების მიღება და მეცადინეობა იწარმოებს ქ. ბაქოში „აზნი"-ს შენობაში, ლენინის პროსპექტი, 20.

მიღების წესები ისეთივეა, როგორც სსრ კავშირის ყველა უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლისათვის.

მისაღები გამოცდები იწარმოებს უმაღლესი განათლების სამინისტროს მიერ უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლებისათვის დამტკიცებული პროგრამების მიხედვით.

განცხადებას ინსტიტუტის უფროსის სახელზე თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. საშუალო სასწავლებლის დამთავრების მოწმობა (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომა 3×4 სმ), 4. ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ, 5. პასპორტი (წარედგინება პირადად).

სტაციონარზე მისაღები გამოცდები იწარმოებს ა. წ. 1-დან 20 აგვისტომდე, დაუსწრებელზე და საღამოს განყოფილებაზე—1-დან 20 სექტემბრამდე.

დაუსწრებელ განყოფილებაზე მიიღებიან ის პირნი, რომლებიც მუშაობენ რკინიგზის ტრანსპორტზე.

განცხადებების მიღება სწარმოებს 31 ივლისამდე.

საერთო საცხოვრებლით სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან შეძლებისდაგვარად.

რადიომიმღებთა მფლობელების საყურადღებოდ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დააწესა რადიომიმღების სააბონემენტო გადასახადთა შეტანის ახალი ვადები: მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გადასახადისათვის პირველი თებერვალი, ხოლო მეორე ნახევრისათვის—პირველი აგვისტო.

რადიომიმღებთა მფლობელებმა პირველი ნახევრის დავალიანება უნდა დაჰფარონ არაუგვიანეს ყოველი წლის პირველი თებერვლისა, ხოლო მეორე ნახევრის—არაუგვიანეს პირველი აგვისტოსი.

რადიომიმღების სააბონემენტო გადასახადს მიიღებენ საფოსტო განყოფილებანი რადიომიმღებთა რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

რადიომიმღების რეგისტრაციაში გაუტარებლობის და გადასახადის თავის დროზე შეუტანლობის შემთხვევაში მფლობელებს გადახდებათ ჯარიმა.

რადიომიმღებთა რეგისტრაციისათვის თავი სამრიდებელნი მიეცემიან პასუხისგებაში ხისხლის სამართლის წესით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიოკომიტეტი

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის სამედიცინო დების № 1 სკოლაში (პედიატრიული) 1948-49 სასწავლო წლისათვის მიღების პირობები.

თბილისის სამედიცინო დების სკოლა № 1 ითვლება საშუალო სპეციალურ სასწავლებლად და ამზადებს ექიმის თანაშემწეებს სპეციალურად ბავშვთა სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებებისათვის. სკოლა ორწლიანია. სწავლა ქართულ და რუსულ ენაზეა, საღამოს საათებში. სკოლაში მიიღებიან 15-დან 35 წლამდე ასაკის მოქალაქენი მხოლოდ მდედრობითი სქესისა. უგამოცდოდ მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი და 8 კლასის კურსდამთავრებული ფრიადოსნები. დანარჩენი პირები აბარებენ გამოცდას შემდეგ საგნებში: ქართული ენა (წერა, ზეპირი), რუსული ენა (წერა, ზეპირი), არითმეტიკა (წერა, ზეპირი), სსრ კავშირის ისტორია.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას: მოწმობა განათლების შესახებ (დედანი), მეტრიკული ამონაწერი, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ორი ფოტოსურათი, ავტობიოგრაფია, პასპორტი (წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად).

განცხადებები მიიღება 15 აგვისტომდე. გამოცდები ჩატარდება 20-დან 25 აგვისტომდე. ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით და საერთო საცხოვრებლით საერთო წესის თანახმად.

განცხადებები მიიღება დირექტორის სახელზე საღამოს 6-დან 9 საათამდე, ვაჟთა მე-7 საშუალო სკოლის შენობაში, ბარნოვის ქ. № 46, ტელეფონი № 3-40-80.

საქართველოს ოქროს კომბინატის თანამშრომლები იუწყებიან **ნინუცა ერმალოს ასულ უგრეხელიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-VII ქუთაისში.

გაბრიჩიძე, მაღლაკელიძე, ხუხუნეიშვილი, სანიკიძე, ტაბიძე, იოვიძე, ქუქუნაშვილი, ბერუაშვილი, ასათიანი, ჰეჰინაძე იუწყებიან **ევგენი ჭუმბურიძის** გარდაცვალებას.

კოლია, ქეთო გვარჯალაძეები შვილებით, ვანო ჩიხვაძე ოჯახით იუწყებიან სიძის **ერმალო გაბრიელის-ძე ქერქაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-VII ბათუმში, კიროვის, 30.

მეუღლე ზინაიდა, შვილები ინდისი, ამბაკო და აგრაფინა, სამა, ლილი იუწყებიან **ერისტო დავითის-ძე გოლეთიანის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-VII, 5 ს. ბოლნისში, ორჯონიკიძის, 11.

გელბახიანი, ჩიხლაძე, ხაბურზანია, მიმინოშვილი, დოლაბერიძე, კუპრაძე, გუნია, მამალაძე, მხეიძე, თოფურიძე იუწყებიან მთავარი საფეიქრო სამმართველოს აფხაზეთის საკონტროლო ანალიზური ლაბორატორიის გამგეს, ფარმაციის მაგისტრის **კონსტანტინე სიხოს-ძე ცომაიას** გარდაცვალებას.

თბილისის სატყეო მეურნეობის მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან **ეთერ ერმილეს ასულ ლომთათიძის** გარდაცვალებას.

ა.-კ. რკინიგზის თბილისის გამცილებელთა რეზერვის კოლექტივი იუწყება **ევგენი გრიგოლის-ძე ჭუმბურიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე სოფიო ხუციშვილი, თამარ, მარიამ, დარიკო, თინა, სიმონ, ნიკო ოჯახებით იუწყებიან **ხორენ სტეფანეს-ძე მოხეხოვის** გარდაცვალებას. გამოსვენება 25-VII, 2 ს. დავითაშვილის, 6

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000 უე 11668